პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 233 (11844)
ხუთშაბათი,
6
ოქტომბერი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ოქტომბერს ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო მიღებას, რომელიც გვინეის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე გვინეის დელეგაციის მეთაურმა ისმაილ ტურემ. ეს სურათი გადაღებულია მიღების დროს.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო - საარჩევნო კრებები

პირველი ოქტომბრიდან საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომუნისტები შეიკრიბებიან, რათა შეაჯამონ მთელი წლის მუშაობა, ანალიზი გაუკეთონ თავიანთი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას და უფრო ღრმად შეიგრძნონ ის ახალი, რაც მთელი ძალით იჭრება ჩვენს ცხოვრებაში.

პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება და არჩევნები უდიდესი პოლიტიკური კამპანიაა, რომელიც უფრო განამტკიცებს ამ ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, ხელს შეუწყობს მასებთან კავშირის უფრო გაფართოებას. ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების უპირველესი მოვალეობაა მთელი ყურადღება დაუთმონ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, გააძლიერონ მათი ყურადღება სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი, მაღალ დონეზე აიყვანონ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვამზადებთ მათ, პირველ რიგში დიდი გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ საანგარიშო მოხსენებების შედგენას, ფართო ასპარეზი მივცეთ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. კასენ წელს იყო შემთხვევები, როცა მომხსენებლები ტრიბუნიდან მხოლოდ და მხოლოდ მომაბეზრებელ ქებათა-ქებას ასხამდნენ გაწეულ მუშაობას, ჭარბად მოჰყავდათ დაზეპირებული ციტატები, ხოლო გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს მწვავე, საჭირბოროტო საკითხებს. ბუნებრივია, რომ ასეთი მოხსენებების წყალობით კრება უხალისოდ, უფერულად წარიმართება. მსგავსი შემთხვევები აღარ უნდა გამეორდეს. რა თქმა უნდა, წარმატებებზე ლაპარაკი საჭიროა, რათა ისინი გავიმეოროთ, ყველას კუთვნილება გავხადოთ, მაგრამ ამავე დროს მკაცრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ცეცხლში უნდა გავატაროთ ყოველივე, რაც გვაფერხებს, ხელს გვიშლის მუშაობაში.

სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების წინაშე უდიდესი საკითხები დგას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმმა მათი ყურადღება გაამახვილა თანამდროვეობის უდიდეს ამოცანაზე — ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანაზე. ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ საკითხს. ამასთან საანგარიშო მოხსენებებში ვრცლად უნდა გაშუქდეს პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობა, რომლებმაც აი უკვე ერთ წელზე მეტია ყოველმხრივ დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა და წინსვლის მძლავრ ბერკეტებად იქცნენ. საჭიროა პარტიული კონტროლის კომისიებში ღია კენჭისყრით ავირჩიოთ ენერგიული, ინიციატივიანი კომუნისტები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი კრებები უნდა გახადონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის ძლავრ ტრიბუნად, დასახონ წარმატებათა მოპოვების გზები, მოურიდებლად ამხილონ ნაკლოვანებანი, მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა დაუკავშირონ იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

პარტია ყოველმხრივ განამტკიცებს და ამაღლებს საბჭოთა დაწესებულებების როლს, რომელნიც მოწოდებული არიან ყოველმხრივ განამტკიცონ საბჭოთა აპარატის გონივრული მუშაობა, იბრძოლონ რუტინის, დახავსებულობის წინააღმდეგ, წარმატებით გადაწყვიტონ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამოცანები. ყველა ეს საკითხი საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ღრმა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ბუნებრივია, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა დიდი დრო უნდა დაუთმონ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის საკითხებს. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ადამიანთა აღზრდაზე, აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს პროპაგანდის სფეროების გაფართოება. კონკრეტულად ვლაპარაკობდეთ თვითეული პოლიტწრის, პოლიტსკოლის, კონსულტანტის მუშაობაზე, თეორიული კონფერენციების, ცოცხალი და საინტერესო ლექცია-საუბრის მოწყობაზე. სწორედ ამას მოითხოვს ჩვენი პარტია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე იგრძნობოდეს მეტი ინიციატივა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები უნდა წარიმართოს კომიტეტებსა და ბიუროებში ასარჩევ კომუნისტთა მიმართ უდიდესი მომთხოვნელობის ნიშნით. არ უნდა გამეორდეს შეცდომები, როცა პარტიული ორგანიზაციების მდივნებად და კომიტეტებისა და ბიუროების წევრებად ზოგიერთ ორგანიზაციებში ირჩევდნენ უუნაროებს, რომლებიც ვერ ამართლებდნენ კომუნისტების ნდობას.

საჭიროა ყოველმხრივ ავწონ-დაწონოთ თვითეული კანდიდატურა, რომელსაც ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში ასარჩევად ვთვალისწინებთ.

მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ აგრეთვე პარტიულ ჯგუფებში ანგარიშგება-არჩევნებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პატარა კოლექტივში დიდი ძალაა. პარტიული ჯგუფები უშუალოდ ეწევიან ქარხნის საამქროებში თუ სამშენებლო უბნებზე, მეცხოველეობის ფერმებსა თუ მემინდვრეობის ბრიგადებში ნაყოფიერ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

მხოლოდ და მხოლოდ გულმოდგინე, ყოველმხრივი ანალიზის შედეგად, რომელიც უნდა გაეწიოს ბიუროს, პარტკომის საქმიანობას, მივაღწევთ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება კომუნისტების აღზრდის ნამდვილი სკოლა, დაეხმარება მათ აამაღლონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დონე.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იტყობინება:

4 ოქტომბერს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუბარისათვის მიიღო მაროკოს მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მემკვიდრე პრინცი მულაი ჰასანი. საუბრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და მ. ჰასანმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სსრ კავშირისა და მაროკოს მთავრობებისათვის საინტერესო ზოგიერთ საკითხზე.

• • •

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. **(საკდესის სპეც. კორ.).** გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა ოელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა დრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანს მის რეზიდენციაში სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში“. შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, აგრეთვე ოფიციალურმა პირებმა ინგლისის მხრივ.

შეხვედრა პარკ-ავენიუზე

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იტყობინება:

ამ დღეებში პრეს-ჯგუფმა გამოაქვეყნა ცნობა მრავალი წერილის შესახებ, რომლებსაც ამერიკელები უგზავნიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნიუ-იორკში. ამ წერილებში გამოთქმულია ამერიკის შეერთებული შტატების უბრალო ადამიანთა დიდი მეგობრობის გრძნობები საბჭოთა ხალხისადმი, მათი მისწრაფება ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობისადმი. ამერიკული გაზეთების ზოგიერთ კორესპონდენტს, რომლებიც „ცივი ომის“ რაინდების სასახურში არიან, ეჭვი შეუნიდათ ამ წერილების სინამდვილეში, იმ მეგობრული გრძნობების გულწრფელობაში, რომლებიც გამოთქმულია ამ წერილებში.

რა გაეწყობა, ჩვენ მიჩვეული ვართ ამერიკული პრესის ბევრი ორგანოს ასეთ „ეჭვებს“. მაგრამ ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინოს. როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, პარკ-ავენიუზე საბჭოთა წარმომადგენლობის ფანჯრებში ისმოდა ასობით ამერიკელის შეძახილები, რომლებიც იმეორებდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ლოზუნგებს. ეს იყო ნიუ-იორკის მშრომელთა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ნიუ-იორკის პროფკავშირთა მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტმა.

ფეხიერმა პოლიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დემონსტრანტები არ გამოუშვა წარმომადგენლობის შენობისაკენ, მეზობელ ქუჩებში განდევნა ისინი. მაგრამ საბჭოთა დელეგაციის წევრებს, წარმომადგენლობის მუშაკებს, ბახლობლად მცხოვრებ ნიუ-იორკელებს გარკვევით ესმოდათ ამერიკელი მშრომელების ხმა, ხედავდნენ ასობით ადამიანს, რომლებიც მიესალმებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ალბათ ეს ხმები მისწვდა ამერიკელი პრესის კორესპონდენტების ყურსაც, რომლებიც განუშორებლად მორიგეობენ ჩვენი წარმომადგენლობის მთავარ შესასვლელთან. მათაც დაინახეს ეს ამერიკელები, რომლებიც მიესალმებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს. და ალბათ მათთვის ძნელი იქნება დაუმალონ თავიანთ მკითხველებს საბჭოთა კავშირისადმი ამერიკელი მშრომელების სიმპათიის დემონსტრაციული გამოთქმის ეს მკაფიო ეპიზოდი.

დემონსტრაციის მონაწილეთა ჯგუფი მივიდა საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში. ნ. ს. ხრუშჩოვი ამ დროს იქ არ იყო, დემონსტრანტები მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ ზ. ვ. მირონოვამ. დემონსტრანტებმა მას გადასცეს ნიუ-იორკის პროფკავშირების მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის შემდეგი განცხადება პრესისათვის:

„ჩვენ, ადამიანები, რომლებიც ესწრაფვიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ჩვენს გონებასა და გულს ვაპყრობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას და მივესალმებით პრემიერ ნიკიტა ხრუშჩოვის წინადადებებს და მის თვალსაზრისს იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას მშვიდობის მიზნებისათვის...

ჩვენ გვახსოვს ამერიკელი ხალხის მიერ მოწყობილი გულთბილი მიღება და დიდი იმედი, როცა პრემიერი ხრუშჩოვი ჩვენში ჩამოვიდა შარშან. ჩვენ ვიცით, რომ გულითადობისა და კეთილი ნების მარტო ასეთ ატმოსფეროში შეიძლება შენელდეს სერიოზული დაძაბულობა და განხილულ და გადაჭრილ იქნას მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები.

ჩვენ აღშფოთებული ვართ ამერიკის შრომის ფედერაციის მეთაურის ჯორჯ მინის პოზიციით, რომელიც იცავს ცივ ომს, და შემფოთებული ვართ პრესაში უპასუხისმგებლო თავდასხმებით საბჭოთა კავშირის მეთაურზე. ასეთი დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვისადმი, აგრეთვე კუბის პრემიერ ფიდელ კასტროსა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, რომლებიც ჩამოვიდნენ გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობისა და იმ პრობლემების განხილვისათვის, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია მშვიდობა, ხელს უშლის საერთაშორისო ურთიერთგაგებას. ამერიკელ მუშებს, რომლებსაც აწუხებთ თავიანთი ქვეყნის მომავალი, სურთ მშვიდობა და ესაჭიროებათ იგი.

ამერიკელ მუშებს იმ პრობლემების პირობებში, როგორიცაა 4 მილიონი უმუშევარი და 4 მილიონი ნაწილობრივ უმუშევარი, ბრძოლა ავტომატიზაციის შედეგების წინააღმდეგ, თეთრკანიან მოქალაქეთა სეგრეგაციონისტული საბჭოს წინააღმდეგ, ესაჭიროებათ ვაჭრობის გავითარება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის სამუშაოთი მათი უზარმაზარი ნიჭიერებულ ადამიანებისა, ინჟინრებისა, ტექნიკოსებისა, ექიმებისა, ინტელიგენციის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკოსებისა, ბიოლოგებისა, ქიმიკოს

არა, ეს ინტერნატი არ არის

შებინდებული იყო, ატენში რომ მივედით. სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის თეთრი შენობის პირველი სართულის ფანჯრებიდან მბჟუტავი შუქი გამოკრთოდა. ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას მხოლოდ მთის პატარა მდინარის ტანას შხუილი არღვევდა.

სასწავლო კორპუსში შესასვლელ კარზე დავაკაკუნეთ. მასწავლებელმა ნიკოლოზ ჭეჭელაშვილმა გამოგვგზავნა.

— ელექტროდენი კი გქონიათ და სანთელივით რატომ ბჟუტავს ნათურები? — დავინტერესდით უნებურად.

— საკუთარი კოისკი არა გვაქვს და ამიტომ არის ასე, — გვიპასუხა მან.

ჭეჭელაშვილს ვთხოვეთ მოსწავლეთა საძინებელ კორპუსში წავეყვანეთ.

— იქ ამ სიბნელეში რას ნახავთ?

— მოსწავლეებს. გვინდა ვნახოთ, როგორ ისვენებენ სწავლის შემდეგ... სიბნელეში რათ არიან?

— მოსწავლეები? — ჩაიცინა მასწავლებელმა, — რა უნდათ იმ კორპუსში მოსწავლეებს, ჯერ ხომ არ დამთავრებული მისი მშენებლობა.

— აბა სად იძინებენ?

— ვინც აქაურია, შინ მიდის, ვინც სხვა სოფლებიდან არის, ისინიც აქ რჩებიან ნათესავებში. ახლობლებსა და ნაცნობებში. აქ კი მხოლოდ პირველკლასელი თხუთმეტი მოსწავლე გვყავს.

— ეს პატარები სად ცხოვრობენ?

— აქვე, საკლასო ოთახის გვერდით.

...საღამოს რვა საათი იქნებოდა. სკოლა-ინტერნატის ყველაზე პატარა მოსწავლეები ისევ მერხებზე ისხდნენ. ზოგი მათგანი მოწყენილობისაგან თვლემდა. აღმზრდელი-მასწავლებელი პელაგია მჭედლიშვილი ცდილობდა გაემხიარულებინა მოსწავლეები.

რა ექნათ პატარებს, ან მათ აღმზრდელებს. სკოლა-ინტერნატში სასწავლო წელი დაიწყო. სწავლისა და ცხოვრებისათვის კი აქ ნორმალური პირობები არ არის. საპორტო დარბაზი საწყობად აქვთ. გასახდელ და ბიბლიოთეკის ოთახებში კი თხუთმეტი საწოლი დგას პირველკლასელი მოსწავლეების დასაძინებლად.

სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკარს ნინელი მიხანაშვილს ჯერჯერობით საქმე არა აქვს, რადგან ბიბლიოთეკისათვის ჯერ არც წიგნები აქვთ და არც ადგილი. დირექტორის საცხოვრებლად განკუთვნილ ბინაში სასადილო-სამზარეულო შეუხიზნიათ.

— აქ თავსდებით? — ვკითხეთ მზარეულ ისაკ ბზიშვილს.

— მხოლოდ პირველკლასელებს ვუმასპინძლდები და — უხერხულად შეიშმუშნა მზარეული.

— ჭურჭელი ამის მეტი არა გაქვთ? — მივუთითეთ სამზარეულოს კუთხეში იატაკზე დაყრილ ჭურჭელზე.

— როგორ არა, გვაქვს! აქვე ახლოს ლოგინის შესანახად დაქირავებულ ბინაში გვიწყვია.

მოსწავლეთათვის რომ არ არის შექმნილი ინტერნატში ცხოვრების პირობები, ეს მეტად ცუდ გავლენას ახდენს მათს სწავლა-აღზრდაზე. შევამოწმეთ მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება. აღმოჩნდა, რომ 5 ოქტომბერს პირველ გაკვეთილზე, მაგალითად, მე-6 კლასში არ ესწრებოდა 9 მოსწავლე, მე-5 კლასში — 7, მე-4 კლასში — 10, მე-3 კლასში 10 და მე-2 კლასში — 14 მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულია 243 მოსწავლე, მაგრამ ფაქტიურად სწავლობს მხოლოდ 180. დანარჩენი მოსწავლეები მშობლებმა არ მოაყვანეს სკოლა-ინტერნატში, რადგან საცხოვრებელი ბინები არ იყო.

ამგვარ უთაობას სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ადგილი არ ექნებოდა, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 3 სამშენებლო ტრესტს სასწავლო კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან ერთად დაემთავრებინა საძინებელი კორპუსის, სასადილოს და სამეურნეო განყოფილების მშენებლობა. მათი მშენებლობა დღემდე ჭიანურდება.

ამის მიზეზი ის არის, რომ სამშენებლო ტრესტს ცუდად აქვს მოწყობილი შრომა, აკლიათ კვალიფიციური ხელოსნები, მუშახელი. მაგალითად, სასადილოს საექსპლოატაციოდ გადაცემას ხელს უშლის ის, რომ სამზარეულოში ჯერ კიდევ არ დაუდგამთ ქურა, დასამთავრებელია სანიტარული მეურნეობის სამუშაოები. ელექტროკოისკის მშენებლობა მხოლოდ რამდენიმე დღეა დაიწყეს.

მთელი ეზო გათხრილია კანალიზაციისა და გათბობის მილების ჩასაწყობად. დრო მიდის, მაგრამ მის დამთავრებას არა ეშველა რა. ატენის სკოლა-ინტერნატის მშენებლობას გულგრილად ეკიდება გორის მესამე სამშენებლო ტრესტი, პირადად მისი მმართველი ამხ. მ. იურლოვი. აქ სკოლა-ინტერნატის კეთილმოწყობა უღიმღამოდ მიდის.

სასწავლო კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემა ნაადრევი სიხარული იყო, თუ მას არ ექნებოდა ყველა სხვა საჭირო ნაგებობანი. ატენის სკოლა-ინტერნატი ფაქტიურად ჯერ კიდევ არა დგას მწყობრში. არა, ეს ინტერნატი არ არის.

მ. ხეთაგური.

გვწერენ, გვაფყობინებენ

გორი. (საკ. კორ.). რაიონის ბევრი სოფლის კოლმეურნეები აგებენ კოოპერირებულ წყალსადენს. ამჟამად მისი მშენებლობა დაჩქარებით მიმდინარეობს. წყალი, რომელიც გამოპყავთ ვანათიდან (სტალინირის რაიონი), უკვე მიიღო ცხრამეტმა სოფელმა. მათ შორის მარტო წელს უელექტროენერგიამ, ქვემო ხვითმა, დიცმა, მერეთმა, ზემო ნიქოზმა, ზემო ხვითმა, ტირძნისმა და სხვ. ოქტომბრის დღესასწაულის 43-ე წლისთავისათვის სახმელ წყალს მიიღებს კიდევ ექვსი სოფელი.

ქარელი. (საკ. კორ.). მეშაქრეთა დაბა აგარას ხულ სამი ათეული წლის ისტორია აქვს. იგი სწრაფად აშენდა და გალამაზდა. დაბის მშვენებაა ტყე-პარკი. უკანასკნელ წლებში დამთავრდა ორი რვაბინიანი სახლის, საავადმყოფო-პოლიკლინიკის, საბავშვო ბაგის, და ბაღის შენობები, მალე დამთავრდება საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი სამსართულიანი შენობის აგება. დაბაში მუშაობს კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, საფოსტო განყოფილება, ავტომატური სატელეფონო სადგური, სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, მაღაზიები, სასადილო, ბურის საცხობი, აბანო, ელექტრო და რადიოფიცირებულია.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ კოლექტივში მაღალი შრომითი მაჩვენებლებით სახელი გაითქვეს ახალგაზრდა ამწყობებმა ნელი მაგრაქველიძემ და ანზორ არჩვაძემ, რომლებიც ყოველდღიურად ერთნახევარ ნორმას ასრულებენ და სისტემატურად მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

სურათზე: ნელი მაგრაქველიძე და ანზორ არჩვაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

განა ასე უნდა

ზენდეგოდეს სახლეგი?

ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ინტერნატები...

ახალი კინოთეატრები

და კლუბები, სტადიონები და აუზები...

და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ ახალი ემატება ყოველდღე ჩვენს დედაქალაქს. ყველა ჩვენგანი უკვე ისე მეჩვევა ამ ამბავს, რომ არავის აღარ უკვირს, როდესაც ახალ საცხოვრებელ სახლს ნახავს, ანდა გუშინ დამთავრებულ კინოთეატრში შევა ფილმის სანახავად. ხშირად გაიგონებთ მშენებლების მიმართ გამოთქმულ მადლიერების სიტყვებს: „ბარაქალა მათს მარჯვენას“.

მართლაც ბარაქალა ჩვენი ქალაქის მშენებელთა შრომას, სწორედ მათი დაუღალავი გარჯის შედეგად სავსებით იცვალა სახე, კიდევ უფრო გალამაზდა და გამშვენიერდა ჩვენი დედაქალაქი, შეემატა ახალი ქუჩები, მოედნები, უბნები. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო საბურთალო რად ღირს. სულ რაღაც თხუთმეტოდე წლის წინათ აქ მხოლოდ ტრიალი მინდვრები, ეკალბარდებით დაფარული გორაკები იყო. ახლა კი მრავალსართულიან, თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგებ შენობებს დაუფარავთ ეს მიდამოები, უკვე ახლა სილამაზით ეკიშპებიან თბილისის ძველ მაგისტრალებს პეკინისა და პავლოვის ქუჩები.

ყველაფერი ეს უკანასკნელ წლებში გაკეთდა. ფართო გაქანება ჰპოვა მშენებელთა საყოველთაოდ ცნობილმა დეკეზმა: ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად. მაგრამ თუ ამ მოწოდების პირველი ორი პუნქტი პირნათლად სრულდება, ამას ვერ ვიტყვით მესამის — ხარისხის შესახებ.

საბურთალოზე ამჟამად ყველაზე მასიური, დიდი მასშტაბის მშენებლობა კომინტერნის ქუჩაზე წარმოიხს. აქ შენდება არა ცალკეული შენობები, არამედ მთელი კვარტალები. შენობების ნაწილი — პირველ მასივში — უკვე კარგა ხანია დამთავრდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ, ნაწილი კი, ძირითადად ახლა შენდება, მაგრამ როგორ შენდება?

ამ კითხვაზე პასუხს სახლმმართველობაში მოგცემენო, გვითხრეს, და ჩვენც ამ დაწესებულებას მივაშურეთ.

ჩვენს კითხვაზე — როგორია მშენებლობის ხარისხი, მობინადრენი რას უჩივიანო, სახლმმართველობის მთავარი ინჟინერი ა. ხოხობაშვილი პირველად შეიშმუშნა, ჩანდა ემძიმა თავისი კოლეგების — მშენებლების „საიდუმლოებათა“ გამჟღავნება.

— აბა, რას იტყვით? — გავუმეორეთ კითხვა.

— რა უნდა გითხრათ, წამოდით, ადგილზე ვნახოთ ყველაფერი.

და აი ჩვენ პირველი მასივის 26-ე კორპუსში ვართ (სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი დ. კახაძე). ერთ-ერთ შესასვლელთან მუშები ფუსფუსებენ, რაღაცას აშალაშინებენ, ჭედავენ.

— რას აკეთებენ? ეს კორპუსი ხომ დიდი ხანია გადაეცა საექსპლოატაციოდ?

— დიახ, დიდი ხანია, მაგრამ კარი არა ჰქონდა...

თურმე ნუ იტყვით, მშენებლებს სახლი ისე ჩაუბარებიათ, რომ ერთ-ერთ მთავარ შესასვლელს კარი არა ჰქონია. სახლმმართველობა იძულებული გახდა თავისი ძალებით გაეკეთებინა კარი.

ამავე შესასვლელში, მეოთხე სართულზე ცხოვრობს მოკალაქე ბ. ქარჩავას ოჯახი. ბინის შესასვლელი კარის გვერდით მოთავსებულია საკუჭნაო. ბევრიც რომ ეცადოთ, საკუჭნაოს კარს ვერ დახურავთ. პირიქით, თუ მოინდომეთ, სახლის პატრონი ხელში გეცემათ — თქვენი ჭირიმე, არ დახუროთ.

საქმე ის არის, რომ საკუჭნაოს გვერდით კედელზე ელექტრობის აღმრიცხველი ისეა მიმაგრებული, რომ თუ კარი მიხურეთ, აღმრიცხველს დაამტვრევთ, ამიტომ კარი ღია უნდა იყოს.

იქნებ იფიქროთ, მარტო ამ ბინაში იყოს ასე. მაგრამ არა. ამ შესასვლელის ყველა შუა ბინაში ასეთივე მდგომარეობაა. ზოგან მცხოვრებლებს თვითონ აუწევიათ ზევით აღმრიცხველი, ალბათ მალე სხვებიც გაკეკეთებენ ამას, მაგრამ ეს კიდევ ერთ უხერხულობასა ქმნის: ინკასატორმა კიბე თუ არ მოიხმარა, ისე ვერ ასწვდება აღმრიცხველს!

რას ფიქრობდნენ ამის გამკეთებლები, განა არ შეიძლებოდა სხვა ადგილი მოენახათ აღმრიცხველისათვის? შეიძლებოდა, მაგრამ არ იფიქრეს, დაუდეგრად გააკეთეს.

აი დაუდეგრობის კიდევ ერთი ფაქტი. უცხო კაცმა რამდენიც არ უნდა ეცადოს სინათლეს ვერ აანთებს. ოთახებში ისეთი გამომრთველები დაუყენებიათ, რომ კარგა ხანი უნდა ივარჯიშოთ, სანამ ისწავლიდეთ რამდენჯერ უნდა გადაატრიალოთ წინ და უკან გამომრთველი სინათლის ასანთებად.

სად იშოვნეს ასეთი გამომრთველები? მაგრამ ამ კორპუსის მცხოვრებლებზე ამბობენ — მაგათ რა უჭირთ, ბედნიერები არიანო.

ეს რომ გავიგეთ გაგვიკვირდა, მაგრამ როცა მე-18 კორპუსში შევედით, ყველაფერი ნათელი გახდა. ცენტრალური გათბობის მილგაყვანილობა იმდენად ცუდად იყო დამონტაჟებული, რომ ერთ დღეს გასცდა და რამდენიმე ბინაში მთლიანად გააფუჭა კედლები, ჭერი, პარკეტი. თუმცა პარკეტის გასაფუჭებლად ასეთი კატასტროფა სრულიად არ არის საჭირო. გვიხდა ვაცნობოთ ინჟინერ ბ. ლომიძეს — ამ კორპუსის სამუშაოთა მწარმოებელს, რომ ბინების უმრავლესობაში, მაგალითად გ. კარაპეტიანის, ა. ავალიშვილის ბინებში, პარკეტი ისევ დაბრეცილი, აყრილი და გუდრონით გაშავებული, რომ თავიდან დაგება სჭირდება. შენობას თუ გარედან შეხედავთ, შეამჩნევთ, რომ ბევრ ადგილზე პარკეტის გროვებია. მცხოვრებთა ნაწილმა უკვე დაიწყო ძველი პარკეტის გამოცვლა. ეს კი მათ საკმაოდ მსხვილი თანხა უჯდებათ.

როგორც წესი, ყოველი შენობის აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ადგილობრივი რელიეფის პირობები. როგორც ჩანს, ამ მასივების დამპროექტებლებსა და მშენებლებს ეს მხედველობიდან გამორჩათ. ამა სხვას რას უნდა მოვაწეროთ ის, რომ წვიმის წყლის საწრეტი მილებიდან ჩამოსული წყალს გასასვლელი არსად არა აქვს— წინ აღმართია, საწრეტი არხები არ არსებობს, ამიტომ წყალი სახლების წინ გუბდება, ხოლო ნაწილი სარდაფებში ჩადის და გამოუსადეგარს ხდის მათ. ამის გამო მე-12 კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი გ. ლაგვილავა) მცხოვრები მოქალაქეების მ. ხინთიბიძისა და ვ. მჭედლიშვილის სარდაფებში ბაყაყები გამრავლდნენ.

მაგრამ თუ ამ კორპუსის მობინადრეებს წყალი აწუხებთ, სამაგიეროდ 21-ე და 22-ე კორპუსების (სამუშაოთა მწარმოებელი ბ. მესხიშვილი) მცხოვრებნი, შეიძლება ითქვას, უწყლობით იხრჩობიან.

რამდენი არ ეცადნენ სახლმმართველობა და თვით მობინადრენი მოეძებნათ ამ კორპუსებისათვის განკუთვნილი წყლის გამანაწილებელი ჭები, ვერაფერს ვერ მიაგნეს. ან რას ნახავდნენ, როდესაც ასეთი ჭების გაკეთებაზე თავის დროზე არავის უზრუნია. მცხოვრებლები წყალს ვედროებით ეზიდებიან შორი მანძილიდან. ეს ფაქტი მეტად ბევრის მთქმელია. ცნობილია, რომ მშენებლობის დაწყების დროს ჯერ უნდა გაეკეთებინა იქნას ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს შენობის აგება. აქ კი პირიქით მოხდა. შენობები უკვე რამდენიმე თვეა დამთავრდა, წყლის გამანაწილებელ ჭებს კი ახლა აკეთებენ.

და განა მარტო ჭებს? უკვე ერთი თვეა, რაც მე-11-ბ კორპუსის მცხოვრებნი უსინათლოდ არიან. რატომ მოხდა ეს? საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდან 3 სექტემბრამდე მობინადრენი დენს იღებდნენ დროებითი ქსელიდან, რომელიც ქანები, საშრობები, აბანოში აბაზანებსა და შხაპებს მთელი რიგი დეტალები აკლიათ. ამის გამო ბავშვების თეთრეულს უბრალო საოჯახო მანქანებით რეცხავენ, ხოლო დასაბანად მიჰყავთ საქალაქო აბანოში, რომელიც 3-4 კილომეტრზეა მოშორებული ინტერნატს. მოსავალში ყველაფერი ეს შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდება ზოგი სამუშაოს ხელმეორედ შესრულება. მაგალითად, სამრეცხაოში საჭირო მანქანების დასადგმელად მემონტაჟეებს მოუწევთ კედლების განგრევა, ვინაიდან ზოგი დანადგარი კარებში არ შეეტევა. ცხადია, ასეთი დაუდეგრობით ათასობით და ათი ათასობით მანეთი სახელმწიფო თანხები ტყუილუბრალოდ დაიკარგება.

ინტერნატისათვის აგებულ შენობას იმდენი ნაკლოვანება აქვს, რომ მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მოტანილი ფაქტებიც საკმარისია იმისათვის, რომ თქვა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს ქმედითი ღონისძიებები არ მიუღიათ, თვითდინებაზე მიუშვეს მშენებლობა. საინტერესოა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მესვეურები, რომლებმაც ხელი მოაწერეს აქტს ამ შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემაზე, თავის ბავშვებს მიიყვანდნენ კი სავალალო მდგომარეობაში მყოფ ინტერნატში?

საბურთალოზე ზემოხსენებულ ნაგებობათა მშენებლობას აწარმოებს მთავარმობილმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველო (უფროსი მ. შალიკაშვილი). უხარისხო სამუშაოებისათვის პირველ რიგში სწორედ ამ სამმართველოს კოლექტივი და მათი ხელმძღვანელები არიან დამნაშავე, მათ უნდა აგონ პასუხი.

მაგრამ არანაკლები დანაშაული მიუძღვის დამკვეთ ორგანიზაციასაც — თბილისის საბჭოს აღმასკომს. როგორც ვიცით, ყოველი შენობა საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ უნდა მიიღოს სპეციალურმა კომისიამ. ეს კომისიები კი ხშირად იღებენ უხარისხოდ აშენებულ და დაუმთავრებელ სახლებს. პირველი მასივის მე-17 კორპუსი კომისიამ არ მიიღო. მიუხედავად ამისა, თბილისის საბჭოს აღმასკომის განკარგულებით შენობა გადაცემულ იქნა საექსპლოატაციოდ და შეასახლეს მობინადრეები. კომისიის ფუნქციების ასე უგულებელყოფა, რასაკვირველია ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

საქმე ის არის, რომ ასეთი კომისიებიც ხანდახან მხოლოდ ქაღალდზეა შექმნილი. თუ ასე არ არის, მაშ რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ კომისიის აქტებს ყველა წევრი არ აწერს ხელს?

შვიდწლედის მანძილზე ჩვენს დედაქალაქში მრავალი ათეული და ასეული სახლი აშენდება. მშენებელთა ვალია მკვეთრად გაუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი, მშრომელებს ჩააბარონ ყოველმხრივ დასრულებული და კეთილმოწყობილი ბინები.

ზ. ჯაბასპიშვილი,
შ. ციბეკიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მივხედოთ კურორტ საირმეს“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კურორტ საირმის დირექტორი თავხელიძე თვითნებობს, საგზურებით ჩამოსულ მოაგარაკეებს უხეშად ექცევა და საშუალებას არ აძლევს კარგად დასხვენონ.

ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ამხ. **შ. კოხიძე** გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. რაიონული კომიტეტის ბიუროს იმსჯელა კურორტ საირმის ხელმძღვანელ მუშაკებზე. დირექტორი მ. თავხელიძე კურორტისადმი სუსტი ხელმძღვანელობის, მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის გაათავისუფლა თანამდებობიდან. კურორტ საირმის დირექტორის მოადგილე მ. კბილაშვილი სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მოხსნა სამუშაოდან.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

რედაქციაში შემოსული იყო წერილი სარხერის რაიონის სოფელ მახათაურის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში არსებულ დარღვევების, ფერმის გამგის ლევან ტეფნაძის უკანონო მოქმედებისა და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ.

წერილი შესამოწმებლად გაეგზავნა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს, რომელიც გვატყობინებს: ამ წერილის მსგავსი სიგნალები მიღებული ჰქონდა პარტიის სარხერის რაიკომს, ოთხელმეტ ციისწავლა მახათაურის ფერმაში შექმნილი მდგომარეობა. დადასტურდა, რომ მიმდინარე წლის იანვარში ფერმის გამგემ ლ. ტეფნაძემ საწყობიდან წაიღო 10 კილოგრამი ყველი, თავისი საჭიროებისათვის იყიდა თევზი და გამყიდველს სიმინდი მისცა საკოლმეურნეო ქონებიდან. დადასტურდა აგრეთვე რძეში წყლის შერევის ფაქტი, სუსტი იყო შრომის დისციპლინა და სხვ.

ეს საკითხი განხილია რაიკომის ბიუროს და კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის, ფერმაში შექმნილი უწესრიგობისა და უკანონო მოქმედებისათვის ფერმის გამგეს ლ. ტეფნაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყურადღებო ბარათში შეტანით. და გააფრთხილა იგი, რომ თუ მსგავსი შემთხვევა გამეორდება, უფრო მკაცრად დაისჯება.

„ბჟილაი — შრომის ქალაქი, თუჯისა და ფოლადის ქალაქი“, — ასე უწოდა ამ სამრეწველო ცენტრს ამხანაგმა ნ. ხ. ხრუშჩოვმა ინდოეთში მეგობრობის ვიზიტით ყოფნის დროს. საპასუხო სიტყვაში კი ინდოეთის მრეწველობის მინისტრმა მ. შაჰმა თავისი აზრი ასე გამოხატა:

„ბჟილაის ქარხანა სიმბოლოა იმ მტკიცე მეგობრობისა, რაც ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს“.

ბჟილაი და რუსთავი — მანძილი თითქოს კარგა შორია, მაგრამ მეგობრობამ საზღვარი როდი იცის. კვირა ან თვე არ გავა ინდოეთიდან წერილი რომ არ მოვიდეს. ეს გასაკვირველი არაფერია. რუსთავსა და ბჟილაის უკვე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ის ასე დაიწყო:

ინდოეთის ხელისუფლებმა საბჭოთა კავშირის მთავრობას სთხოვეს გაეგზავნა მათთვის ნიჭიერი სპეციალისტები ბჟილაის მეტალურგიული კომბინატის ასაგებად. მრავალრიცხოვან საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ინდოელ მეგობრებს რუსთაველებმაც გაუწოდეს ძმობისა და დახმარების ხელი. ბჟილაის უზარმაზარი მეტალურგიული კომბინატი ძირითადად აშენებულია. ახლა იქ იხსნება დამაგებითი საამქროები და კოროპნები. ამიტომ ბევრი საბჭოთა სპეციალისტი, მათ შორის რუსთაველი ინჟინრები დაბრუნდნენ, მაგრამ ბევრიც ჯერ კიდევ იქ არის, ეხმარება ინდოელ მეგობრებს სრულყოფილი მეტალურგიული გიგანტის შენებაში.

... და აი ბჟილაიდან რუსთავში წერილი მოვიდა. მისი ავტორები არიან რუსთავის ფოლადკონსტრუქციის სამმართველოს ყოფილი მუშაკები მეამწე ვლადიმერ კოსტინი, შემდეგდელი სიმონ პუზაჩევი და გეოდეზისტი ალექსანდრე ზედა. წერილში, რომელიც მათთან ერთად ინდოეთში ნამყოფ ნიკოლოზ საკლაკოის სახელზეა მოხსული, სწერია:

„ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას მესამე საბრძმედი ღუმელზე, დანარჩენი ორი ბრძმედი, რომელიც ჩვენ ავაგეთ, უკვე იძლევა პროდუქციას. გვინდა აგრეთვე გაცნობოთ, რომ კოკსქიმიურმა საამქრომ უკვე აითვისა კოქსის, სასუქების, ფისის, მარილმჟავას და სხვა პროდუქციის გამოშვება. ჩვენ ვაგრძელებთ მეგობრობას ინდოელებთან. აქ გატარებულ დღეებს ჩვენ სამუდამოდ დავიხსომებთ“.

საპასუხო წერილში, რომელიც ფოლადკონსტრუქციის სამმართველოს კოლექტივის სახელით გაიგზავნა, აღნიშნულია:

„ჩვენ კვლავ ჩვეული ტემპებით ვაშენებთ მშობლიურ ქალაქ რუსთავს. ფოლადკონსტრუქციის სამმართველოს კოლექტივი ემზადება ღირსეულად შეხვდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილი გვაქვს უმოკლეს დროში დავამთავროთ მილსადენი დგანის, ჭიათურის გამამდიდრებელი ფაბრიკის და სხვ. სამონტაჟო სამუშაოები.

მოუთმენლად ველით თქვენს დაბრუნებას“.

ამ დღეებში ინდოეთიდან კიდევ ერთი ახალი ცნობა მოვიდა. რუსთავიდან წარგზავნილები იტყობინებიან, რომ სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი მიქაძე, რომელიც მეტად ნაყოფიერად მუშაობდა, მალე დაბრუნდება სამშობლოში.

ასე მტკიცდება მეგობრობა რუსთავსა და ბჟილაის შორის.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრები ერთმანეთს სწავლობენ

კონფერენციაგე სტალინაბადში...

სტალინაბადში 10 ოქტომბერს იხსნება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებთან სოლიდარობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს იმ საკითხებს, რომ შემდგომ განმტკიცდეს სსრ კავშირის ურთიერთობა და თანამშრომლობა აღმოსავლეთის ხალხებთან, რომლებიც დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას.

კონფერენციასთან დაკავშირებით საქართველოში გაიშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება მშრომელთათვის აწყობს ლექციებს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, ისტორიული დოკუმენტების შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სესიის განსახილველად — კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის წევრი ა. ხოროავა, პროფესორი — აღმოსავლეთმცოდნე ვ. ფერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, სტალინის სახელობის ამერიკანისტიკის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ძამაშვილი, პოეტი ი. ნონეშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ჯიჯავაძე, ქალაქ თბილისის მთავარი პედიატრი ე. გერი, კომპოზიტორი დ. თორაძე. (საქდესი).

რთველია ყულარში

მარნეული, (ჩვენი საკ. კორ.). ლაბორატორიის გამგეს ნ. ბუბნაშვილმა უკანასკნელად დაუარა ზერის მწკრივებს და დირექციას წარუდგინა ცნობა, რომ ყურძნის შაქრიანობა დამაკმაყოფილებელია. რთველი დაიწყო.

— ვაზი მარნეულის რაიონში ახალი კულტურაა, — ამბობს ყულარის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი მ. მინდიაშვილი, — წინათ აქაურმა მეცხოვრებლებმა არ იცოდნენ ვენახის ფასი და არც მისდევდნენ მას გაშენებას. ახლა კი ვეღარ ნახავთ აქაურ გლეხს, საკუთარი ვენახი რომ არ ჰქონდეს.

წელს მარტო ყულარის საბჭოთა მეურნეობამ უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 1.200 ტონა ყურძენი. გარდა ამისა, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებიდან უნდა მიიღოს 1.300 ტონა ყურძენი. ყულარის საბჭოთა მეურნეობა ძირითადად ამზადებს ეგრეთწოდებულ საპორტეინინ მასალას, რომელიც იგზავნება მოსკოვში, კიევში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში.

მარნეულში წელს ყურძნის კარგი მოსავალია. ჰექტარზე იღებენ 70-75 ცენტნერ ყურძენს, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე მარშან.

საბჭოთა მეურნეობა რთველისათვის კარგად მოემზადა. ყურძნის მისაღებ განყოფილებას ახლა თავისუფლად შეუძლია ყოველდღიურად მიიღოს 125-150 ტონა ყურძენი, დაიდგა ორი ახალი საწნეხი მოწყობილობა, მძლავრი ლოკომობილი. რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ქარხნის მუშაობას. გარდა ამისა, რომ მეურნეობამ საპორტეინინ მასალა უნდა დაამზადოს, მან კარგი ხარისხის ყურძნითაც უნდა მოამარაგოს თბილისი.

რთველია ყულარში...

დროშა — გამარჯვებულთ

გურჯაანი. (საკ. კორ.). ერთი და ორი კი არა, ათობით მეხლია ჩაწერილი ვალისციხის სოფლის კოოპერატივის მუშაკთა ვალდებულებებში, რომლებიც მათ მვიდწლედის მეორე წელს იკისრეს. შედეგიც კარგია. მეორე კვარტლის დაგეგმა 142,2 პროცენტით შესრულეს. დამზადების არც ერთი სახე არ არის, რომ გეგმა დიდი გადამეტებით არ შეესრულებინოთ.

ვალისციხელებმა სამომხმარებლო კოოპერატივებს შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და სამატარი ჯილდო — სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირისა და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. კოოპერაციის წარჩინებული მუშაკები დაჯილდოებულ იქნენ ხუთი ათასი მანეთით.

... ეს ინტერნატი არ არის

გვწერენ, გვაფყობინებენ

გორი. (საკ. კორ.). რაიონის ბევრი სოფლის კოლმეურნეები აგებენ კოოპერირებულ წყალსადენს. ამჟამად მისი მშენებლობა დაჩქარებით მიმდინარეობს. წყალი, რომელიც გამოპყავთ ვანათიდან (სტალინირის რაიონი), უკვე მიიღო ცხრამეტმა სოფელმა. მათ შორის მარტო წელს უელექტროენერგიამ, ქვემო ხვითმა, დიცმა, მერეთმა, ზემო ნიქოზმა, ზემო ხვითმა, ტირძნისმა და სხვ. ოქტომბრის დღესასწაულის 43-ე წლისთავისათვის სახმელ წყალს მიიღებს კიდევ ექვსი სოფელი.

ქარელი. (საკ. კორ.). მეშაქრეთა დაბა აგარას ხულ სამი ათეული წლის ისტორია აქვს. იგი სწრაფად აშენდა და გალამაზდა. დაბის მშვენებაა ტყე-პარკი. უკანასკნელ წლებში დამთავრდა ორი რვაბინიანი სახლის, საავადმყოფო-პოლიკლინიკის, საბავშვო ბაგის, და ბაღის შენობები, მალე დამთავრდება საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი სამსართულიანი შენობის აგება. დაბაში მუშაობს კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, საფოსტო განყოფილება, ავტომატური სატელეფონო სადგური, სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, მაღაზიები, სასადილო, ბურის საცხობი, აბანო, ელექტრო და რადიოფიცირებულია.

მთა ისმენდა მწყემსურ მელოდიას

ზღვის დონიდან ორი ათას რვაასი მეტრის სიმაღლეზე აზიდულან ქუდოსანის და ცხრაწყაროს მთები. ზღვასავით გაშლილან აქ იალაღები, სადაც ახალციხისა და თეთრი წყაროს რაიონების ცხვრის ფარები ძოვდნენ წელს მსუყე ბალახს.

მთის კალთებზე თეთრი ნაბდებივით გაშლილან ფარები. მწყემსთა ომახიანი შეძახილებით, ყორნების რქების ჯახჯუხით იღვიძებენ მთ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია



ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ნ. ვ. პოდგორნი.

პირველი ორატორი გამოსვლის დაწყებისას სხდომაზე მივიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მნიშვნელობის შესახებ. ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ სესიის მონაწილეებმა ღრმად და პასუხისმგებლობით უნდა განიხილონ წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და აღმოფხვრან ის მიზეზები, რომელთაც საერთაშორისო ვითარების გამწვავება გამოიწვიეს. XV სესიის განსაკუთრებით დიდმნიშვნელობას მოწმობს ის ფაქტი, თქვა მან, რომ მის მუშაობაში მონაწილეობს სახელმწიფოთა და მთავრობათა ბევრი მეთაური. უკრაინის დელეგაცია თავისი მთავრობისა და ხალხის სახელით დიდ მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის მთავრობასა და პირადად მის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს მისი იმ ინიციატივისათვის, რომ ამ სესიის მუშაობა განხორციელებულიყო ყველაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა მონაწილეობით, რათა გადაეჭრას ის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც მსოფლიოს ბედ-იღბალს შეეხებიან.

ნ. ვ. პოდგორნი შეეხო განიარაღების საკითხს და თქვა:

არსებობს სრული ერთიანობა იმის გაგებაში, რომ განიარაღება თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მწვავე და ყველაზე გადაუდებელი პრობლემაა. მის გადაჭრაზე დამოკიდებული იქნება — წავა კაცობრობა განვითარების მშვიდობიანი გზით, თუ იგი იძულებული გახდება განუწყვეტელივიცხოვროს მსოფლიო კატასტროფის წარმობის შიშით.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, განაგრძო მან, რომ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის მნიშვნელობის შესახებ. ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ სესიის მონაწილეებმა ღრმად და პასუხისმგებლობით უნდა განიხილონ წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და აღმოფხვრან ის მიზეზები, რომელთაც საერთაშორისო ვითარების გამწვავება გამოიწვიეს. XV სესიის განსაკუთრებით დიდმნიშვნელობას მოწმობს ის ფაქტი, თქვა მან, რომ მის მუშაობაში მონაწილეობს სახელმწიფოთა და მთავრობათა ბევრი მეთაური. უკრაინის დელეგაცია თავისი მთავრობისა და ხალხის სახელით დიდ მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის მთავრობასა და პირადად მის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს მისი იმ ინიციატივისათვის, რომ ამ სესიის მუშაობა განხორციელებულიყო ყველაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა მონაწილეობით, რათა გადაეჭრას ის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც მსოფლიოს ბედ-იღბალს შეეხებიან.

ნ. ვ. პოდგორნი შეეხო განიარაღების საკითხს და თქვა:

ამერიკის „ახალი“ გეგმის არსი ის არის, რომ არავითარ შემთხვევაში საქმით არ დაუშვას საყოველთაო და სრული განიარაღება, შეცვალოს იგი „შეიარაღებისადმი კონტროლით“. ამ გაქვავებული პოზიციიდან ამერიკის შეერთებული შტატები ერთი დუმილითაც არ დაძრულან. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რომელიც ამ ტრიბუნიდან გამოვიდა, კვლავ განაცხადა, რომ კონტროლს უნდა დაუქვემდებარდეს არა განიარაღება, არამედ შეიარაღება. დიდი და მძლავრი საბჭოთა კავშირი გულწრფელად და მხურვალედ ცდილობს სრული და საყოველთაო განიარაღების განხორციელებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ თავიდან აიცილოს კაცობრობას განადგურების საფრთხე. შეერთებული შტატების მთავრობა, პირიქით, თავის პოლიტიკას ამყარებს ატომური და წყალბადის იარაღის — აგრესიის იარაღის შენარჩუნებაზე.

ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხში ერთმანეთს ენათესავება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა. ამ ქვეყნების მმართველ წრეებს განიარაღება მიაჩნიათ ბოროტებად, რომელიც თავიდან უნდა აიცილონ. ბონელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს ძლიერ სჭირდებათ საერთაშორისო დაძაბულობის ატმოსფერო და გამალებული შეიარაღება, რათა განახორციელონ თავიანთი ახალი გეგმები — ატეხონ ომი და დაიმონონ ხალხები. ბონელმა რევანშისტებმა, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნიმ, თავხედური გულახდილობით მოითხოვეს, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღჭურვონ ბუნდესვერი ყველა სახეობის ატომური და რაკეტული იარაღით, აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში განახორციელონ საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

დღითიდღე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ დასავლეთ გერმანია მიდის იმავე გზით, რომლითაც კაიზერისა და ჰიტლერის გერმანია მიდიოდა.

ჭვრეტ შიშით როდი ვლაპარაკობთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინებაზე. საბჭოთა კავშირსა და ყველა სოციალისტურ ქვეყანას ყოველთვის შეუძლიათ საკუთარ ბუნაგშივე მოსპონ ყოველი აგრესორი. ატომური ომი, თუკი იგი გაარღვევს ბონელმა რევანშისტებმა, პირველი წუთიდანვე მთელი თავისი ძალით დაატყდება თავს მთელ მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა კი იმ ქვეყნებს, რომელთა მმართველები თვითონ აღორძინებენ მილიტარისტულ გერმანიას. აი რატომ არის ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის ინტერესებისათვის საჭირო, რომ მოისპოს ომის ეს ყველაზე საშიში პოტენციური კერა უშუალოდ ევროპის შუაგულში.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური შეეხო კოლონიალიზმის ლიკვიდაციის პრობლემას. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოშობა, წინათ დამონებულ ხალხთა მიერ თავისუფლების მოპოვება, რომლებმაც სხვა ხალხებთან ერთად მოიპოვეს უფლება გადაჭრან მსოფლიოს ბედ-იღბალი, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ნიშანთვისებაა.

40 წელიწადზე მეტი ხნის წინათ საბჭოთა სახელმწიფო შემქმნელი, ხალხთა მეგობრობისა და თანასწორუფლებიანობის დიდი ქომაგი ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად აღნიშნავდა: „აღმოსავლეთის ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რომ პრაქტიკულად იმოქმედონ და რომ ყოველმა ხალხმა თვითონ გადაჭრას მთელი კაცობრობის ბედის საკითხი“.

დღეს თანასწორუფლებიან ხალხთა საერთაშორისო ოჯახში ძძლავრ ბაკადად, ტალღა-ტალღად შემოდიან ახალ-ახალი ძალები, რომლებიც კაცობრიობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ. შეუპოვარი ბრძოლით მოპოვებულ დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას აღწევენ აზიისა და აფრიკის ხალხები.

მაგრამ კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მაინც იტანჯება ამ მილიონზე მეტი კაცი. იღვრება სისხლი გმირი ალჟირელი ხალხისა, რომელსაც არ სურს მეტად მოითმინოს ფრანგ კოლონიზატორთა ბატონობა და სურს იცხოვროს თავისუფლად ალჟირის თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში, დრო დადგა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, დაჩქარდეს და დამთავრდეს კოლონიური სისტემის დაშლისა და ყველა დამონებული ხალხის განთავისუფლების პროცესი. ამ ისტორიული აუცილებლობის მიღწევას შეესაბამება დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საქმიანობას კონგოშია. ლუბანი, თქვა პრემიერ-მინისტრმა, ახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და გულწრფელად ისწრაფვის შეინარჩუნოს მეგობრული ურთიერთობა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან.

ლუბანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირში უკვე ექვსი წელია გრძელდება ტრაგიკული ომი და არავითარი ნიშანი არ არის, რომ ეს ომი დამთავრდება უახლოეს მომავალში. ეს შეუწყნარებელია, თქვა მან, ამასთან დაგმო ის, რომ საფრანგეთის მთავრობა დაშორდა ალჟირელი ხალხის თვითგამოჩენის უფლების პრინციპს. სალამმა თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს რეფერენდუმი, რომელიც უზრუნველყოფს ალჟირელი ხალხის ნებასურვილის თავისუფლად გამოცხადებას.

აღნიშნა რა, რომ არსებობენ სხვა რაიონებიც არაბთა სამყაროში, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან კოლონიურ ბატონობას, სალამმა იმედი გამოთქვა, რომ მალე კოლონიალიზმი სამუდამოდ გაქრება არაბთა სამყაროში.

იმპერიალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ბევრი ქვეყანა, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, იტანჯება შიმშილის, უმეცრებისა და ავადმყოფობათა გამო, ეკონომიურად განვითარებულმა ქვეყნებმა ფინანსური და ტექნიკური დახმარება უნდა გაუწიონ მათ.

გამალებული შეიარაღება, თქვა ლიბანის მთავრობის მეთაურმა, იწვევს უზარმაზარი მატერიალური რესურსების ხარჯვას, აძლიერებს გამანადგურებელი ომის საფრთხეს.

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, თქვა მან, სახელმწიფოთა უნდა შეთანხმდნენ კონტროლოს დაკვეშმდებარებული საყოველთაო განიარაღების პროგრამის შესახებ. გენერალური ასამბლეის ამ სესიას, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ბევრი ქვეყნის თვალსაჩინო ხელძღვანელები, შესაძლებლობა აქვს გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი განიარაღების გზაზე.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ავეროფს, რომელმაც მიბაძა ნატოში თავისი მოკავშირეების მაგალითს, არ წამოუყენებია არც ერთი რაშდენადმე კონსტრუქციული წინადადება.

საბერძნეთის დელეგატმა მოუწოდა ყველა ქვეყანას დაადგნენ განიარაღების გზას და ამავე დროს აქტიცებდა, რომ განიარაღება გახდა პოლიტიკური ანტაგონიზმის იარაღი. საბერძნეთის მინისტრმა უარყო რუმინეთის წინადადება, რომ განხორციელდეს რეგიონალური ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა სამხრეთ ევროპის სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა შორის.

ამით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის სხდომა.

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის დღეგანდელ დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. ესპანეთის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლეკერიკა ე ერკისამ ქება შეასხა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ფრანკოს რეჟიმისათვის ასიგნებათა გამო. მან დაუშვა უხეში გამოხდომები ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ. ესპანეთის მთავრობა, განაცხადა მან, ამაყობს იმით, რომ მის ტერიტორიაზე არის უცხოეთის სამხედრო ბაზები. ქება ასხამდა რა ამერიკის შეერთებული შტატების „ძალას“, ფრანკისტმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ასიმილეთ საქმიანად განახლოს განიარაღების პრობლემები, და „სენტიმენტალური კომედია“ უწოდა ასეთ განხილვას.

ჩემი აზრით, განაცხადა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა უოლტერ ნეშმა, რომელიც შემდეგ გამოვიდა, დღეგანდელი დღის ძირითადი პრობლემა განიარაღებაა. ნეშმა იმედი გამოთქვა, რომ განსხვავება განიარაღების განხორციელების გეგმებში მომავალში შემცირდება. ახლა, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანია გამოონახოს განიარაღების დაწყებადგზა. უმჯობესია მივალწიოთ შეთანხმებას განიარაღების რომელიმე დარგში, ვიდრე განვიცადოთ მარცხი ყოვლისმომცველი გეგმის შესახებ შეთანხმების მიღწევაში.

მაროკოს დელეგაციის მეთაურმა მუღლაი ჰასანმა ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას. მან აღნიშნა მოვლენათა სწრაფი განვითარება თანამედროვე მსოფლიოში და განაცხადა, რომ ბევრი მსჯელობის დრო წავიდა და რომ ეს მოვლენები მოითხოვენ სწრაფად გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით მულაი ჰასანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ არ არის პროგრესი განიარაღების დარგში. მაგრამ, მაროკოს წარმომადგენელმა გამოიჩინა აშკარა არათანამიმდევრულობა და მხარი დაუჭირა დასავლეთის იმ იდეას, რომ შეიქმნას ექსპერტთა კომიტეტი განიარაღების ტექნიკური ასპექტების განსახილველად.

შეეხო რა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარებას, მულაი ჰასანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი დახმარება უნდა იყოს ნამდვილი. პროგრესს წყარო და არა პოლიტიკური ზემოქმედების საშუალება.

მაროკოს წარმომადგენელი შემდეგ შეეხო კოლონიურ პრობლემებს. მან, კერძოდ, მკვეთრად დაგმო კოლონიზატორთა ბრიკები კონგოში და მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს დანაშაულებრივ სისხლისღვრას ალჟირში.

მაროკოს დელეგაციის მეთაურმა მოუწოდა ასამბლეას რეალურად განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, თქვა მან, გახსნა საერო მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა კი მისთვის ჯერ კიდევ დახურულია.

დასასრულ ჰასანი შეეხო მავრიტანიის პრობლემას.

შემდეგ გამოვიდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუნსი. მან განაცხადა, რომ იზიარებს მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის განწყობილებას, რომლებიც ისწრაფვიან თავიდან აიცილონ ახალი ომების საფრთხე. მაგრამ მან აქვე დაიცვა დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიუძღვნა ინდონეზიის წინააღმდეგ თავდასხმებს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუკარნოს გამოსვლასთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ამით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარული სხდომა.

საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის

გამოსამშვიდობა უცხოეთში ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებზე

სიტყვები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1 და 3 ოქტომბერს წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია.

ბულგარელი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას აღდგენილ იქნას სახალხო ჩინეთის უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მთელი რიგი ცენტრალური გაზეთები ბეჭდავენ ამ საკითხისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიებს. ბულგარელი ხალხი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, წერს „ოტეჩესტვენ ფრონტი“, მუდამ უჭერდნენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება შორეულ აღმოსავლეთში. ჩვენი ხალხი მუდამ სიმპათიით ეკიდებოდა 650-მილიონიან ჩინელ ხალხსა და მის სამართლიან ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარებისაგან მისი ტერიტორიის წაწილის — კუნძულ ტაივანის განთავისუფლებისათვის. ბულგარელი ხალხი ერთსულოვნად და უსიტყვოდ უჭერს მხარს ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებას „ჩანკაშისტური ლეში გადაგდონ ჯანდაბამი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღგილი მისცენ ნამდვილად ცოცხალს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას“.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა თვალი მიპყრობილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიის მუშაობისადმი. რუმინეთ პრესაში სტატიებს ათავსებენ მუშები და გლეხები, ინჟინერები და მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. ისინი სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის დელეგაციისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების წინადადებებს. დიდ ინტერესს იწვევენ სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო, არგუმენტირებული გამოსვლები. ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს 3 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ვრცელ შინაარსს. „საბჭოთა კავშირის წინადადებანი გვიჩვენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცების გზას“, — სათაურში წერს „სკინტეია“. „საჭიროა გამოონახოს სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის გზები“, — აღნიშნავს „რომინია ლიბერა“. „საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა დედამიწაზე იყოს მშვიდობა“, — ხაზგასმით აღნიშნავს „ეუნეკა“. „კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, „სკინტეია“ მას უწოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვას. ნ. ს. ხრუშჩოვმა, აღნიშნავს გაზეთი, ამ სიტყვაში მტკიცე პასუხი გასცა იმათ, ვინც დისკუსიის მსვლელობაში ამახინჯებს საბჭოთა კავშირის პოზიციასა და წინადადებებს, განმარტა წინადადებანი, რომლებიც ეხებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის გაუმჯობესებას.

პრაღის გაზეთების პირველი გვერდების ცენტრალურ ადგილებზე, მოთავსებული სრული ტექსტი ან დაწვრილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურის საკითხზე, აგრეთვე ა. ნოვოტნის გამოსვლა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოთა დელეგაციის მეთაურს სიტყვის სათაურებმი გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ხორმალიზაციის „მესაბამ იქ წამოყენებულ მოთხოვნათა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას. რათა იგი აყვანილ იქნას მაღალი ისტორიული ამოცანების დონეზე მშვიდობის შეარჩუნებისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განვითარების საქმეში. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, — წერს „რუდე პრავო“, პატივი უნდა სცეს ყველა ხალხელმწიფოს ინტერესებს“, გაზეთი „ობრახი ლიდუ“ აღნიშნავს, რომ „მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის ცვლილება მტკიცედ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდგომარეობა ორგანიზაციას“. „სსრ კავშირის წინადადებათა მიზანია, — ხაზგასმით აღნიშნავს „ზემედელკე ნოვინი“, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაძლიერება“. გაზეთი „სკობოდნე სლოვო“ აცხადებს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის თანამშრომლობის ადგილი“.

კოლონეთის ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურის საკითხზე. „ბერლინერ ციტუნგი“ შეეხეოდა ნ. ს. ხრუშჩოვის ბაზგასმით აღნიშნა იმის საჭიროება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაითვალისწინოს ეფექტური ცვლილებანი, რომლებიც მსოფლიოში მოხდა უკანასკნელ 15 წელიწადში.

ვიენაში გაზეთი „ნიან ზანი“ წერს, რომ ვიენნაში ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ეს გამოსვლა კვლავ დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის მოსწრაფებას მიაღწიოს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყოს ქმედითი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დგას მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე. როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, ნ. ს. ხრუშჩოვი კვლავ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატორად. ეს არის მეტად არა გონივრული მდგომარეობა, რომელიც იწვევს მთელი მსოფლიოს კეთილ ნებას ადამიანთა აღშფოთებას,

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელი სტრუქტურა არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, რაც მსოფლიოში არსებობს“ — ასეთი სათაურით **ფრანკფურტერ** გაზეთი „ლუმანიტე“ აქვეყნებს ცნობებს ნიუ-იორკიდან, „ხრუშჩოვმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის პოლიტიკისა და იმ მიზნების სრულ განმარტებას, რომლებსაც საბჭოთა დიპლომატია ისახავს“, — წერს იგი, აღნიშნავს რა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა მიმდინარეობს შეჩეხულებათა ფართო შედარების ყველაზე ძნელ მომენტში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიწყო, გაზეთი „ლუმანიტე“ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვას ახასიათებს როგორც „ომის დამშვიდებულ რწმენით აღსავსე სიტყვას, რომ იქ გამოთქმული იდეები ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებენ მშვიდობის ინტერესებისათვის“. (საკდესი).

მდგომარეობა კონგოში

ლონდონი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ლეოპოლდვილიდან დეპეშათა სააგენტოების მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ შეთქმულთა პოზიციის მერყეობასა და სისუსტეს, რომლებიც კონგოში მოქმედებენ კოლონიურ წრეებთან შეთანხმებით. 4 ოქტომბრიდან კატანგის მთელ პროვინციაში, სადაც მოღალატე ჩომბე და მისი ხელქვეითნი მოკალათდნენ, 24 საათიდან ღილის 5 საათამდე შეიღებულია კომენდანტის საათი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ყანდარმერიისა და პოლიციის თავით ფეხამდე შეიარაღებული ქვეგანაყოფები ჯიპებით პატრულობენ კატანგის მთავარი ქალაქის ელიზაბეტვილის დაცარიელებულ ქუჩებში.

ლეოპოლდვილის დიპლომატიურ და ეკონსულისტთა წრეებში უშიშროების საკანგებო ღონისძიებებს, რომლებიც მეამბოხეთა ბანაკში ხორციელდება, უკავშირებენ ჩომბეს მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ადგილმდებარეობების ბრძოლის აქტივიზაციას. როგორც სააგენტოები ელიზაბეტვილიდან იუწყებიან კოლონიზატორთა ეს დამჭაში, რომელიც მეტად შეშინებულია აჯანყებულთა მოძრაობით, აძლიერებს დამსჯელ კამპანიას.

ლეოპოლდვილში ეგრეთწოდებული „გენერალურ კომისართა საბჭო“, რომელიც რეკვიციამ შექმნა ლუმუმბას დემოკრატიულად არჩეული მთავრობის საწინააღმდეგოდ და რომელსაც აქვს კონგოს საქმეების ხელმძღვანელობის პრეტენზიები, უკან იხევს. „ჩვენ არ ვაპირებთ ხელში ავიღოთ სახელმწიფო ძალაუფლება, რამდენადაც ხალხს არ მოუცია ჩვენთვის ამის რწმუნებანი და არ ავურჩევივართ“, — ნათქვამია საბჭოს განცხადებაში.

„გენერალურ კომისართა საბჭო“, რომელიც არავის და არაფრის წარმომადგენელი არ არის, მკვდრადშობილი აღმოჩნდა.

კონგოდან მიღებული ცნობებით, კანონიერი მთავრობის მეთაური პატრის ლუმუმბა განაგრძობს მუშაობას თავის ლეოპოლდვილის რეზიდენციაში, რომელსაც იცავენ კონგოს ნაწილები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, იმოწმებს რა კონგოს რესპუბლიკის პარლამენტის წრეებს, ლუმუმბას მტკიცედ უმერენ მხარს კონგოს ეროვნული არმიის ნაწილები, რომლებიც დისლოცირებული არიან სტენლივილში — ადმოსავლეთ პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში.

ნასერი და ტიტო ნიუ-იორკიდან გაემგზავრნენ

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ა. ნასერი, რომელიც მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში, გუშინ ნიუ-იორკიდან კაიროს გაფრინდა.

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო გაემგზავრა ნიუ-იორკიდან, სადაც მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში.

ბანგკოკიდან იუწყებიან

პარიზი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან იუწყება, დღეს ტაილანდის ოფიციალურმა რადიომ დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა „ფულითა და იარაღით ყოველმხრივი დახმარება“ გაუწიონ მეამბოხე ლაოსელ გენერალს ფუმი სოსავანს.

მაკოუნის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომის ეროგენის კომისიის თავმჯდომარემ მაკოუნმა გუშინ ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა რაც შეიძლება მალე და, თუ შესაძლებელია, 8 ნოემბრამდე — პრეზიდენტის არჩევნების დღემდე, — უნდა განაახლოს ატომგულის იარაღის მიწისქვეშა გამოცდები „კეთილი მიზნებისათვის“. მაკოუნმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური ისტერიის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელია, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად ამენებენ სპეციალურ ნაგებობებს, რომლებიც „უახლოესი კვირების ან სულ ბევრი რამდენიმე თვის განმავლობაში“ შესაძლებელს გახდიან ატომგულის იარაღის მიწისქვეშა აფეთქების განხორციელებას.

ამერიკის ახალი სამხედრო თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო კანაველალის კონცხიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გუშინ ეკვატორულ ორბიტაზე გაუშვეს თანამგზავრი „ატლანტიკ-III B“. თანამგზავრს აქვს 129,5 სანტიმეტრი დიამეტრის ბურთის ფორმა და იწონის 216,5 კილოგრამს. თანამგზავრზე არის ჩამწერი აპარატურა და რადიოგადაცემები, რომლებიც, სააგენტოს სიტყვით, აწარმოებენ საიდუმლო სამხედრო ინფორმაციის რეტრანსლაციას. თანამგზავრი გაშვებულია რაკეტის „ტორ-ეიბლ-სტარის“ დახმარებით.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას ყოველდღე ზამრავი წერილი მოსდის ამერიკის ყველა კუთხიდან.

• • •

სურათზე: წარმომადგენლობის თანამშრომლები ა. ი. პრესნოვა და ნ. ი. ბეროვი არჩევენ წერილებს.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის **ვ. ეგოროვისა.**

სტუმრად ნიგერიაში

ლაგოსი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სამშობლოში გამგზავრების წინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. არუშანიანი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი გამოსათხოვარი დარბაზობით იყვნენ ნიგერიის პრემიერ-მინისტრ ბალეგასთან. საუბრის დროს განხილულ იქნა ორი ქვეყნის მომავალი ურთიერთობის საკითხები.

უფრო გვიან შ. მ. არუშანიანმა მოაწყო დარბაზობა, რომელზეც იყვნენ პრემიერ-მინისტრი ბალეგა, გენერალ-გუბერნატორი როხერტსონი, მინისტრები, დეპუტატები, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ლიდერები, ადგილობრივი და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, ნიგერიის ახალგაზრდობის ხელმძღვანელები. დარბაზობამ განსაკუთრებით მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას ყოველდღე ზამრავი წერილი მოსდის ამერიკის ყველა კუთხიდან.

• • •

სურათზე: წარმომადგენლობის თანამშრომლები ა. ი. პრესნოვა და ნ. ი. ბეროვი არჩევენ წერილებს.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის **ვ. ეგოროვისა.**

ჯაშუშები დაისაჯნენ

პეკინი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკელი იმპერიალისტები და ტაივანზე მათი ჩანკაიშელ მარიონეტები ცდილობენ ჯაშუშებისა და პროვოკატორების შეგზავნით შიგნიდან გამოუთხარონ ძირი სახალხო ხელისუფლ

სერგეი სარტაკოვი ცნობილი თანამედროვე რუსი საბჭოთა მწერალია. მის კალამს ეკუთვნის რომანები „მთის ქარი“, „ქვის საძირკველი“, „ხაიანის ქედები“. ს. სარტაკოვი ამასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ-სალიტერატურო მუშაობასაც ეწევა, არის რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ს. სარტაკოვის ახალი რომანი „სიყვარული“ ასახავს ჩვენი თანამედროვეობის მოვლენებს. მისი მოქმედება იშლება შორეულ ციმბირში, ჩრდილოეთის მკაცრი, თოვლიან-ყინულიანი ბუნების პირობებში. ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის გარემოება, რომ ს. სარტაკოვის რომან „სიყვარულის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი სტალეკი რეიდის უფროსი, ქართველი ინჟინერი **ნიკოლოზ ცაგერიძეა.** ნ. ცაგერიძე რაზმავს რეიდის მთელ კოლექტივს სახალხო-სახელმწიფოებრივი ქონების — მილიონი მანეთის ღირებულების ხე-ტყის მახალის გადასარჩენად...

„**კომუნისტის**“ კორესპონდენტი ეწვია სერგეი სარტაკოვს და ესაუბრა მას რომან „სიყვარულის“ შესახებ.

მთელი ჩემი ლიტერატურული გზა პირად გამოცდილებას, ცხოვრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ცოდნას ემყარება, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ს. სარტაკოვმა. — უნდა გითხრათ, რომ რომან „სიყვარულში“ ასახული ხე-ტყის წარმოებასთან ჩემი პირადი ბიოგრაფიითაც ვარ დაკავშირებული, ვინაიდან 13 წლიწადი გავატარე ციმბირის სატყეო ობიექტებზე სხვადასხვა პასუხსაგებ პოსტებზე.

ციმბირი ჩემი საყვარელი მხარეა. და არა მარტო ჩემი... დღეს, საბჭოთა პირობებში, სახე იცვალა ამ მხარემ: აღმოჩენილია უდიდესი სიმდიდრენი, გაიშალა ბუნების გარდაქმნელი გრანდიოზული სამუშაოები და, რაც მთავარია, ყოველივე ამის ბატონი გახდა თავისუფალი საბჭოთა ადამიანი. ციმბირის დიდი ბუნება იპყრობს და იტაცებს ადამიანს. ზოგს ეს გადაჭარბებულად ეჩვენება, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ციმბირი ძალუმად უხმობს ყველას, ვისაც კი იქ უცხოვრია. ახე, მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, ტიპიური სამხრეთელი, ბერძენი რამდენჯერმე დაბრუნდა სამხრეთში, ოდესაში, მაგრამ შემდეგ კვლავ ციმბირს მიაშურა. ასეთი იყო ქართველი ინჟინერი ნიკოლოზ ნ-იც, რომელიც ერთ ხანს ციმბირში მუშაობდა, ხოლო შემდეგ საქართველოში წავიდა და იქ ცოლი შეირთო. რამდენიმე წლის შემდეგ ნიკოლოზ ნ-ს სატყეო საქმისადმი სიყვარულმა, მისმა „ციმბირულმა გაჟანებამ“ სძლია და იგი ცოლითურთ დაბრუნდა ჩრდილოეთში. ეს ნიკოლოზ ნ-ი არის რომან „სიყვარულში“ გამოყვანილი ნიკოლოზ ცაგერიძის პროტოტიპი.

ს. სარტაკოვი.

— დიდად მაინტერესებს, როგორ მიიღებს ქართველი მკითხველი ჩემს რომანს. — თქვა საუბრის დასასრულს ს. სარტაკოვმა. — წინასწარ კი მინდა განვუცხადო მომთხოვნ მკითხველს, რომ შეეცადე სიმართლე და გულწრფელობა ჩამექმოვა „სიყვარულში“.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ნაწყვეტს ს. სარტაკოვის რომან „სიყვარულიდან“.

სერგეი სარტაკოვი

ილას უფრო ყინავდა, ვიდრე გასულ ღამეს. არ დამთბარა შუადღის ხანსაც. კვლავ ცივოდა ზევიდან, ათასფრად ბრჭყვიალებდა წვრილი ფიფქები. მიმქრალი ჩირაღდნებივით ბჟუტავდა ცაში ერთად სამი მზე — ორი ყალი და ერთი ნამდვილი. შორეული ტაიგა რუხ ბურუსში იკარგებოდა. ინგუტის უღელტეხილი ოდნავ ჩანდა როგორც ტალღისებრი ხაზი.

ცაგერიძე ჩიტატუტის მაღალ ციცაბო ნაპირზე იდგა და სიცივისაგან ქუჩქში ეხვეოდა. ხორგების ტეხილი პირამიდებით დაფარული მდინარე, მის შუა ვიწრო, გრძელი კუნძული, თრთვილით შეხუნძლული ხშირი ტირიფნარი, — ყველაფერი მინამქრული, დაფარული იყო თოვლის სქელი ზვინებით.

ნაპირის ფერდობები თუმცა ძალიან ციცაბო იყო, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს აქედან ძნელი არ იქნებოდა უგზოდ ჩასვლა მდინარეზე. ცაგერიძემ ყავარჯნით მოსინჯა თოვლის ხრაშუნა ქერქი და ჰკითხა მის გვერდით მდგომ ბაქენოვას და ბუხჰალტერ ვასილ პეტროვიჩს:

— შეიძლება ჩასვლა? მილიონთან.

ბაქენოვამ გაიძრო ბეწვის საბუხრე და მუჭში ჩაბერვით გაითბო ხელი.

— რასა ბრძანებთ! აქ? ყოველად შეუძლებელია.

ვასილ პეტროვიჩმა ფეხი ჰკრა კუნძის ნაჭერს. იგი ტრიალტრიალით ჩაგორდა ქვევით.

— ასე თუ ჩახვალთ, რატომაც არ შეიძლება? ჩადით, მაგრამ რისთვის?

— მინდა ვნახო, — თქვა ცაგერიძემ.

— ნახოთ! რა არის იქ სანახავი, თუნდ აქედან შეგიხედნიათ, თუნდ იქიდან. რაც აქედან ჩანს, იქაც იმას დაინახავთ.

მას მკვეთრი, უსიამოვნო ხმა ჰქონდა, ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს მბეჭდავ მემანქანეს განკარგულებას. უკარნახებსო. ბაქენოვამ მოინდომა შეერბილებინა ბუხჰალტრის სიტყვები. განმარტა:

— ძალიან ციცაბოა. ფლატე ჩაწვება. თოვლქვეშ ხვინჭა არა ჩანს, მაგრამ როგორც კი ფეხს დაადგამთ — სულ ძირს წავა. იქ, ქვეგეთ კი მართლაც ვერაფერს ვერ გაიგებთ, მთელი ხე-ტყე, მორები, ყინულშია ჩაკირული, ზევიდან კი, თვითონ ხედავთ, თოვლის როგორი ზვინებია.

— კი, მაგრამ, თუ წინასწარ არ გავარკვევთ სად რა არის, როგორ უნდა შეეუდგეთ ხე-ტყის გადარჩენას?

ვასილ პეტროვიჩმა მხრები აიჩეჩა, და ძაღლის ბეწვის დიდი ქუდის შეუკრავი საყურეები ასაფრენად გამზადებული ფრინველს ფრთებივით აუფარფატდა. მსხვილი, ქარისაგან დამსკდარი ტუჩები დამცინავი ღიმილით აუტოკდა.

— ამას ჩამოწერა უნდა და არა გადარჩენა, — თქვა მან. და უცებ გაეცინა: — პირველი სიტყვა მილიონი ღირს, მეორე კი — ორი მილიონი, რადგან გადასარჩენად საჭიროა კიდევ ერთი მილიონი. საბოლოოდ კი ვინ იცის, რა გამოვა — გაზაფხულის წყალდიდობისას წყალი წაიღებს ყველაფერს. აბა, კიდევ დიდხანს უნდა უყუროთ? წელი მაქვს გაციებული, ყინვაა — მეტი დგომა არ შეიძლება.

იგი გაბრუნდა და დაბისაკენ წავიდა. დალინდაგებულ ქერთუკში გახვეული, ბეჭებში მოხრილი, ნაბდის დიდი ჩექმებით ძირღვეული თოვლს. კისერზე ცალღეროვით შემოკრული ჰქონდა სქელი, შინ მოქსოვილი შალის შარფი, რომელიც, ისევე როგორც ქერთუკი, თეთრი, ყინულოვანი ნეძსებით იყო დაფარული.

— როგორ უნდა გავიგო ყოველივე ეს, მარია? — ჰკითხა ცაგერიძემ, რომელმაც თვალი გააყოლა ვასილ პეტროვიჩს. ის თანდათან შეტაბედა ნაბიჯს, თან იქნევდა გრძელ ხელებს, რომლებზეც ბეწვის საბუხრეები ეკეთა. — მეგიძლიათ ამიხსნათ?

— თქვენ სულ კითხვებს იძლევით! — ბაქენოვამ დაუბერა ჰაერს და ჰაერში ორთქლის თეთრი პატარა ღრუბელი ჩამოეკიდა.

— როცა ადამიანს რამე არ ესმის, მაგრამ ძალიან უნდა გიგოს, იგი აუცილებლად კითხვას იძლევა.

— მაგრამ რატომ მე მეკითხებით?

— მე ვკითხავ მცოდნეებს. მე რომ ყველაფერი ვიცოდე და მესმოდეს, აღარ ვეკითხავდი. მცოდნე ადამიანს რათ უნდა რომ სხვას ჰკითხოს? თქვენ შეკითხვებს არ ძაძლევთ, მაშასადამე, ყველაფერი იცით. ამიტომაც გთხოვთ მიპასუხოთ.

— ნიკოლაი გრიგორიევიჩ, მაგრამ თქვენ... საოცარი ადამიანი ხართ. ყველასთან რომ ამბაირად დაიპიროთ თავი, ეგონებით... უბრალოდ რომ ვთქვათ...

— რეგვენი?

— არა... მაგრამ რაღაც... უცნაური.

— უცნაური? მაგისი არ მეშინია. რეგვენი რომ ვეგონო, უფრო ცუდი იქნება. მითხარით, რატომ უნდა ძოცხვენოდეს ჩემი უცოდინაობისა? რატომ არ უნდა ვეკითხებოდე სხვებს? განა ის სჯობს, ბრძნად მომქონდეს თავი, და სისულელეებს კი ჩავდიოდე? ან რა საჭიროა ლაპარაკში ყოველთვის განზე გადახვევა, როგორც ამას თქვენ აკეთებთ?

— რომ არ ვიცი, რა გითხრათ!

— ოღონდ ნუ იტყვით, ახლა დიდი ყინვაო — ეს უკვე ვასილ პეტროვიჩმა თქვა. გარდა ამისა, მე თვითონაც ვხედავ როგორ აგიტანთათ კანკალმა. წავიდეთ სითბოში. ფეხების დამტვრევა, თუნდაც მთგან ერთი ნეხი ფეხისა, არ მინდა და მდინარესთან არ ჩავალ. დავუჯერებ ბუხჰალტერს, რომ ერთი სიტყვა მეორეზე ერთი მილიონით ძვირი ღირს.

მან გზა დაუთმო ბაქენოვას, რომელიც გაჰყვა ვასილ პეტროვიჩის მიერ გაკვალულ თოვლს. ბაქენოვამ მიჰხედა ცაგერიძეს, რომელიც კოჭლობით მისდევდა.

— ვასილ პეტროვიჩი ძალიან პატიოსანი ადამიანია, — თქვა **მან.**

— თქვენ კი ალბათ გინდოდათ ჩემთვის სხვა ეხრი გეთქმევინებინათ.

ცაგერიძე ალივს ძიჰკვებოდა ბაქენოვას სიარულში, ლაპარაკი, კამათი უძნელდებოდა. თუმცა, ეაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა: ვასილ პეტროვიჩი პირველი შეხვედვისთანავე არ მოეწონა ცაგერიძეს. რა დასამძლავია? ხოლო როცა ასე ჩაეკითხა ბაქენოვას, მას უნდოდა მხოლოდ უფრო განემტკიცებინა შექმნილი ეხრი, რომ ბუხჰალტერი, როგორც ჩანს, წინანდელი უფროსის ამჭრისაა. დუნე წითური სახე, შეშუპებული ქუთუთოები, ჩამოკიდებული ქვედა ტუჩი, რომელიც თითქოს ამოტრიალებას ლამობსო, — განა ყველაფერი ეს ლოთის ნიშნები არ არის?

ჯერ კიდევ დილით, როცა ვასილ პეტროვიჩი ბაქენოვას ბინაზე მივიდა, გააცნო თავი და თანაც უსაყვედურა ცაგერიძეს — რატომ ჩემთან არ შემოიარეთ, ხომ გელოდითო, — ცაგერიძემ გაიფიქრა: ალბათ ბოთლით მელოდნენო. მან ჰკითხა ვასილ პეტროვიჩს: „რათ მელოდით? უმჯობესი არ იყო პაგლიეისათვის გეთქვათ, სად არის ჩემთვის მომზადებული ბინა“. ვასილ პეტროვიჩმა უპასუხა: „ბინა ჯერ არ არის. ამზადებენ. გელოდით კი როგორც მთავარ პირს. ეს მე და თქვენ — ორივენი მთავარი ვართ“. საერთოდ ეს, რა თქმა უნდა, სწორი იყო, მაგრამ მოსასმენად არასასიამოვნო. თავისი თავის მიმართაც და ბუხჰალტრის მიმართაც. „მთავარი პირები!“ ცაგერიძემ თავი ვერ შეიკავა: „თქვენ მთავარი პირი ბრძანდებით. ხე-ტყის ჩაყინვაშიც მთავარი ხართ?“ ვასილ პეტროვიჩმა გულგრილად თქვა: „არა. ეს სტიქიური უბედურებაა. ფორს-მაჟორია. ფინანსები კი ყოველთვის წესრიგში მაქვს“, ცაგერიძე დაეშვდა, როგორ შეიძლება წესიგში იყოს ფინანსები, როცა ყინულში ჩაკირულია მილიონად ღირებული ხე-ტყე. ვასილ პეტროვიჩმა განუმარტა, რომ საჭიროა უნარი, მან არ დაისძინა, სახელდობრ რის უნარი. ცაგერიძემ კი ზიზღით გაიფიქრა: „ალბათ თაღლითობის უნარი“.

ამრიგად, ერთმანეთისადმი არასიმპათიურად განწყობილნი, ისინი წვიდნენ მდინარისაკენ. თუმცა ვასილ პეტროვიჩმა მაშინვე განაცხადა, რომ ეს ამაო და უსარგებლო საქმეაო, მაგრამ არ გაჯიუტებულა. ცაგერიძეს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა შეადგომოდა რეიდის უფროსის მოვალეობის შესრულებას თუ არ ნახავდა მთავარს. ქაღალდების ფურცლას ხომ არ დაიწყებს კანტორაში! ბაქენოვა მიეუწვევლად გაჰყვა, უბრალოდ — ჩაიცვა და წამოვიდა. ცაგერიძეს ეს მოეწონა. მოეწონა ისიც, რომ ღამე ბაქენოვა მზრუნველობით უვლიდა ფეხიას, რომელსაც ჯერ მშვიდად და მაგრად დაეძინა, შემდეგ კი სულ შფოთავდა ლოგინში, კვნესოდა და ტიროდა. და თუმცა ცაგერიძეს კვლავ აღიზიანებდა ბაქენოვას ხელოვნურ-ალერსანი თუ თავშეკავებულ-ბოროტი მოპყრობა დედისადმი, — ეს გაუგებარი ქალი მაინც საერთოდ გულთადობის გრძნობას აღუძრავდა. მასთან შეეძლო და უნდოდა უბრალოდ, გულახდილად ელაპარაკა ყველაფერზე, — როგორც ბავშვობაში თავის ბებიას ელაპარაკებოდა. ბუხჰალტერი კი სრულიად არ მოსწონდა.

კანტორაში ცალცალკე შევიდნენ, ცაგერიძე ყველაზე ბოლოს შევიდა, რადგან ბევრად ჩამორჩა თანამგზავრებს. მან ყინვაზე გარიკინებული ნაბდის ნეკჭებს ბაკუნით გაიარა ბნელი კოридორი, რომლის კედლებზე მოჩანდა მუყაოს წარწერები „საანგარ. ნაწილი“, „საწარმ. ნაწილი“, „წით. კუთხე“ (პო, გუშინ აი აქ ვიყავი), გაუარა ნახევრადმგვალ სარკმელს წარწერით „სალარო“ და მიადგა ერთადერთ შეღებილ კარს — „რეიდის უფრ.“, რომლის უკან ისმოდა ხელით საბეჭდი მანქანის ჩხაკუნი.

— ეტყობა ეს არის ჩემი ოთახი, — გაიფიქრა ცაგერიძემ და კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. — გამოდის, რომ მყავს მდივანიც, რომელმაც მანქანაზე ბეჭდვა იცის.

მდივანი აღმოჩნდა გახდარი, შავთმიანი ქალიშვილი, რომელსაც ყურებში ბომბასავით ეკეთა უზარმაზარი საყურეები. იგი მანქანას ურტყამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ძლეულად, მხრებს როგორღაც ძალიან მაღლა სწვეოდა, საყურეები ქანაობდა და ლოყებზე სცემდა. ცაგერიძე მზად იყო ეკითხა, „არა გტკივათო“, მაგრამ ამ უცნაურმა აზრმა მხოლოდ გაუელვა, ისე კი უთხრა:

— გამარჯობათ! მე ახალი უფროსი ვარ, ნიკოლოზ ცაგერიძე. თუ არა ვცდები, ეს ჩემი კაბინეტია?

ქალიშვილმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, მხოლოდ შეხედა გაოცებული ოდნავ ირიბი გრძელწამწამიანი თვალებით. კაბინეტის ცუდად დახურული კარი გაიღო, გამოჩნდა შალშემოხვეული თავი, ხოლო ოთახის სიღრმიდან ჩახრინწულმა ქალის ხმამ მოუთმენლად იკითხა:

— მოვიდა?

ცაგერიძემ ვერც კი შეამჩნია, როგორ გაჩნდა კაბინეტში, როგორ შემოეხვია ოთხი ქალი, რომლებიც გესლიანად და უხეშად გაიძახოდნენ:

— არ წავალთ, არა!

— გერასიმოვი სწორად მოიქცა. წადი იქ, წადი, თვითონ გატეხე კარი და გამოყარე ბავშვები!

— ამაში არ უნდა დაგეწყო, უფროსო!

ცაგერიძემ სცადა ეკითხა, გაეგო რა მოხდა, რით არ უნდა დაეწყო, მაგრამ ამაოდ: ქალები არ უსმენდნენ; ვიდრე მოსმენას შეძლებდნენ, მათ უნდა ბოლომდე გადმოეთხიათ დაგუბებული ბოღმა და ბრაზი, და როცა ცაგერიძე ამას მიხვდა, მშვიდად მიეფინა ღუმელთან, იატაკზე დაადგა ქურქი, რომელსაც ორთქლი ასდიოდა, ზურგით მიებჯინა ცხელ აგურებს, ნეტარებით იგრძნო, როგორ მაშინვე მოუდუნდა კუნთები და სუნთქვა გაუადვილდა, — და მოემზადა ყურადღებით და მოთმინებით მოესმინა ქალებისთვის.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

• • •

ყველაზე მეტს ცხარობდა და ყველაზე მწარე, გესლიან სიტყვებს ისროდა ახალგაზრდა, ბალი ქალი, რომელშიც ცაგერიძემ უფრო ხმით, ვიდრე სახით, უცებ იცნო გუშინდელი ქენჯა. იგი ახლა განგებ აღარ აშორებდა მას თვალს, თანაგრძნობით უქნევდა თავს და უღიმოდა, სანამ თავისას არ მიაღწია — ქენჯა აირია, ხმას დაუწია, როგორღაც უწესრიგოდ აიჩეჩა მხრები და ბოლოს სრული საასწარკვეთილებით აღმოხდა:

— ამას განა ესმის რაშე!

მაგრამ ცაგერიძემ ყველაფერი გაიგო. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კიღაცამ (როგორც ჩანს, თვითონ ცაგერიძემ) ამ დილით მისცა განკარგულება კომენდანტს უფროსის ბინისათვის დაეცალა სახლი („კოტეეჯი“, როგორც მას ქენჯა უწოდებდა) — ოროთახიანი კოტეჯი სამზარეულოთი. „კოტეჯის“ ერთ ოთახში ექვსი სულისაგან შემდგარი ოჯახით ცხოვრობდა ლოცმანი გერასიმოკი, მეორეში, როგორც საერთო საცხოვრებელში, მოთავსებული იყო შვიდი მარტოხელა ქალი და ქალიშვილი, ხოლო სამზარეულოში შეშათა მომარაგების განყოფილების დაქნინის გამყიდველი ქალი თავისი მოზარდი ვაჟიშვილით. თხუთმეტ ადამიანს უნდა დაეცალა სახლი ერთისათვის და არაუგვიანეს დღევანდელი საღამოსი, თვითონ კი გადასულიყვნენ სხვა, ისევდაც გაუბედელ „კოტეეჯებსა“ და ბარაკებში. ყველაზე მეტად უჭირდა დიდოჯახიან გერასიმოკს, არავინ არ იყო თანახმა სახლში ერთბაშად შეეშვა ექვსი ადამიანი, და ისიც უბრალოდ მოიქცა: ბავშვები დატოვა ბინაში, კარს გარედან დაადო დიდი ბოქლომი, თვითონ კი სამუშაოზე წავიდა. „ხვეწნასა და თხოვნას არ დავიწყებ. — გაბარაზებით თქვა მან. — „ახალს“ როგორც უნდა, ისე მოიქცეს. ვნახოთ, რას იზამს“. შვიდ ქალსა და ქალიშვილს მეორე ოთახიდან, რა თქმა უნდა, ადვილად შეეძლოთ სათითაოდ გადასულიყვნენ სხვა საერთო საცხოვრებლებში, მაგრამ, ჯერ-ერთი, მათ არ უნდოდათ ერთმანეთთან დაშორება. მეორეც — აღშფოთდნენ, რომ ახალმა უფროსმა გადაწყვიტა ყველა საქმეებზე ადრე „ხელში ჩაეგდო“ მთელი სახლი, თუმცა ეს სახლი გენერალური გეგმის მიხედვით სწორედ ამ მიზნისათვის იყო აშენებული. „ლოპატინსაც კი ესმოდა, რომ ხალხი ძალიან ვიწროდ ცხოვრობს!“ ქენჯამ მოიშველია კიდევ სამი ენამჭრელი ქალი და გადაეშვა ბრძოლაში: „რაც უნდა დაგვემართოს, ჩვენს სახლში არ შევეშვებთ“...

ახლა იგი დაბნეული იდგა. ყველა სიტყვა, ყველა საბუთი, მთელი გააფთრება დაელია, ცაგერიძემ კი ჯერ არაფერი უთხრა, არ უპასუხა, იდგა, ფიქრობდა, და გაუგებარი იყო, ეთანხმებოდა თუ არა. ქენჯა თითქოს ერთ საათს ურტყამდა ცულს ბამბის ფუთას, და რომ გაჩერდა და დახედა — ბამბას არავითარი ნიშანი არ ემჩნეოდა.

— რას იტყვით? — უკვე ნაძალადევად, მაგრამ კვლავ მუქარით ჰკითხა მან.

ცაგერიძემ თვალი მოავლო კაბინეტის ძელურ შეუღესავ კედლებს, რომლებზეც ხშირად იყო გაკრული დიაგრამები, გრაფიკები და სიძველისაგან გაყვითლებული პლაკატები, რომლებიც მოუწოდებდნენ დაეცვათ დაცურებზე უსაშიშრობის ტექნიკის წესები, დაეცვათ ხე-ტყე ხანძრისაგან და მოეძებნინათ შინაური კურდღელი. ფანჯრის რაფაზე, სწორედ ლოპატინის საკარძლის უკან, რატომდაც იდგა შუშის კოლოფისებრი შუქოვანი ტრანსპარანტი „უფრთხილდით ავტომობილს“. მაგიდაზე ეყარა ქაღალდები. წიგნები გვარლების, ჯაჭვების ნაწყვეტები, ისე რომ ხელებს ჩამოსადები ადგილი ძლივსღა რჩებოდა.

„აქედან, ამ მაგიდიდან ხომ არ დაიწყო მილიონის ჩაყინვა?“ გაიფიქრა ცაგერიძემ. ამქამად ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა. მაგრამ ქალები მოუთმენლად ელოდნენ პასუხს, და მან ხმამაღლა იკითხა:

— ქალიშვილ ქენია დღეს გამოსასვლელი დღე აქვს?

ქალებმა ერთხმად იყვირეს:

—ეხუჩად მაინც ნუ გვეგდებთ!

ცაგერიძემ ოდნავ დახარა თავი.

თქვენი აზრით ეხუჩად აგდება მხოლოდ ქალების პრივილეგიაა? მე მიყვარს, როცა ქალები მღერიან, როცა ამბობენ ისეთ ლამაზ სიტყვებს, როგორიც თვითონ არიან, მაგრამ ჩემი ყურები ნაგვის კალათები როდია. მე არ ვიცი, ვინ და როგორ გაწმენდა ახლა მათ. და არც ის ვიცი, რატომ მაინც და მაინც ჩემი ყურები მოგეწონათ. დღეს ოთხშაბათია. სამუშაო დღე, საჭიროა მუშაობა...

მას შეაწყვეტინებს:

— მუშაობა!.. რა კარგია. ძვრე, სად უნდა ვიცხოვროთ?

— ვფიქრობ, იქ, სადაც ცხოვრობთ. თუ, რა თქმა უნდა, მოგწონთ იქ.

— მერე... — აღმოხდა ქენიას.

— მერე... — გაიმეორა ცაგერიძემ. — სწორედ ძველ ადგილას. უკეთესს ჯერჯერობით ვერ შემოგთავაზებთ. მე კი ვკითხავ კომენდანტს, როდის და რატომ გავიეი განკარგულება, რომ მუშები გაესახლებინათ და მე დამეკავებინა ეს თქვენი „კოტეეჯი“

მან კაბინეტიდან გაისტუმრა გახარებული და დაწყნარებული ქალები და მდივანს დაუძახა.

— მაპატიეთ, ვერ მოვასწარი თქვენთვის სახელი მეკითხა...

— ლიდა, — უმალვე უპასუხა მან. მას, როგორც ჩანს, ეგონა, რომ ახალი უფროსი გაუჯავრდებოდა, ჩემს კაბინეტში ქალები რათ შეუშვეო.

მაგრამ ცაგერიძემ გახარებულმა შეჰყვირა:

— რა კარგია! ლიდოჩკა... სწორედ ასე ერქვა ჩვენს ჰოსპიტალში ყველაზე საყვარელ დას. ნემსებს სულ უმტკივნეულოდ გვიკეთებდა. თავის ტკივილს კი ასე არჩენდა: ცხელ შუბლზე დაგვადებდა თავის გრილ ხელს, თვალებში ჩაგვბერავდა, გაიცინებდა — და ტკივილი გაქრებოდა. ლიდოჩკა... ო, როგორ გვიყვარდა ყველას! იქნებ თქვენს სახელს მუდამ სდევს საყოველთაო სიყვარული?

ლიდამ მორცხვად გაიღიმა, გაწითლდა, დახედა პირველკლასელივით მელნით მოთხუპნელ თავის თითებს, და ხელები ზურგს უკან დამალა.

— აბა... რა ვიცი... — და გვერდზე გაიხედა. — ლოპატინს სულაც არ ვუყვარდი.

—რას ამბობთ! რატომ?

ქალიშვილი უფრო გაწითლდა, ტუჩები აუტოკდა.

— იყო... მიზეზები... თქვენთან როგორ შემოვა ხალხი — წინასწარ მოხსენებით თუ არა?

ცაგერიძემ ფანჯრის რაფიდან აიღო ტრანსპარანტი „უფრთხილდით ავტომობილს“, ატრიალა იგი ხელში.

— რა მრისხანე გაფრთხილებაა... ლოპატინთან როგორ შედიოდნენ?

— როგორც მოხვდებოდა.

— ეს საწყობს ჩაბარეთ, თუ შეიძლება. ავტომობილებით ნუ შემოუშვებთ კაბინეტში. ქვეითები კი შემოვიდნენ... არა „როგორც მოხვდებათ“, არამედ თავიუფლად.

ლიდამ ისეთი გამომეტყველებით აიღო ტრანსპარანტი, თითქოს ცაგერიძე ამ წუთში თვითონ შემოვიდა კაბინეტში ავტომობილით.

— ეს ხომ ფანჯარაში ისე იდგა! — თქვა მან.

— გატყობთ, ხუმრობა არ გიყვართ, — უთხრა ცაგერიძემ. — რას იზამ, უნდა შეეჩვიოთ, ლიდოჩკა, ჩემს უცნაურობებს. მოწყენილი ცხოვრება არ მიყვარს. მაშინ ხის ფეხი ძალიან ამტკივდება ხოლმე. ახლა კი თქვენთან ორი სათხოვარი მაქვს. პირველი: ხომ არ იცით, სად არის ჩემი ჩემოდანი? მესმის, ასეთი კითხვა კარგად ვერ მახასიათებს, მაგრამ... მე მგონია, რომ გუშინ პავლემა იგი სადღაც შეიტანა, მაგრამ სად — არ ვიცი.

— აგერ დივანის იქით დგას. მე დავდგი. პავლემა იგი კორიდორში დაადგა.

— გმადლობთ დიდი ზრუნვისათვის, მეორე თხოვნა: დაუძახეთ ვასილ პეტროვიჩს და, თუ შეიძლება, მოახეთ კომენდანტი.

მარტო რომ დარჩა, ცაგერიძემ გადმოხვეტა მაგიდიდან ჯაჭვებისა და გვარლების ნარჩენები, დაყარა კუთხეში კარადის უკან და დაიწყო თვალიერება წიგნებს და ქაღალდებს. ისინი უწესრიგოდ იყო დახვავებული მაგიდაზე. სანორმატიგო ცნობარები, ტაკელაძის საანგარიშო ცხრილები, სისხლის სამართლის კოდექსი, „მაინ-რიდის „უთავო მხედარი“, ვერა პანოვას „თანამგზავრები“, გინეკოლოგიის სახელმძღვანელო... ქაღალდები. ქვითრები, ტაბელები, წერილები ტრესტიდან, მუშების განცხადებები — არეული იყო ერთმანეთში, დათარიღებული იყო გასული და ომის წინა წლითაც კი. ქაღალდებში არეული იყო რეცეპტები, კონფეტის ქაღალდი და ფოტოსურათები, უმთავრესად ქალებისა. ცაგერიძეს ხელში მოხვდა მოსწავლის რვეულიდან ამოხეული ფურცელი, რომელზეც პირველკლასელის ხელით გამოყოფილად ეწერა სიტყვები — „ძვირფასო მამა!“ შემდეგ ცაგერიძეს აღარ წაუკითხავს.

„ამბობენ, ლოპატინს მუდმივი ბინა არა ჰქონდაო, — გაიფიქრა მან. — აი ეს მაგიდა სცვლიდა მისთვის მუდმივ ბინას. კარგი როდია ქეიფო საიდუმლოებანი ადამიანისა, რომელიც ცოცხალი აღარ არის. მაგრამ წაუკითხავად და გაუსინჯავად როგორ გავარჩიო სასამსახურო, საქმიანი იმისაგან, რაც მხოლოდ [illegible]?“.

მძიმე ნაბიჯით შემოვიდა ვასილ [illegible] ოთახში [illegible] ბუხარი და აღარც ქუთუთები ეცვა. სქელი შალის შარფი [illegible] ალაგ-ალაგ ეხვია კისერზე. ხელში [illegible] ბაბრალი [illegible] ცისფერი, კვამლი ასდიოდა.

— მუშაობას იწყებთ? — ჰკითხა ვასილ პეტროვიჩმა, თავით ქაღალდების გროვაზე უჩვენა და დივანზე ჩამოჯდა.

— არა, მუშაობა გუშინვე დავიწყე, — თქვა ცაგერიძემ, — ჩვენ ეს არის ახლა ერთად დავბრუნდით მდინარის ნაპირიდან, ვასილ პეტროვიჩ, სადაც, ეფიქრობ, უკვე ვმუშაობდით.

ვმუშაობდით, — დაეთანხმა ვასილ პეტროვიჩი და პაპიროსის ფერფლი პირდაპირ იატაკზე დაბერტყა. — ჯარისკაცს სძინავს, ესეც სამსახურია. მოგახსენებთ. დადგენილების თანახმად თანამდებობის შესრულების დაწყებამდე საჭიროა მოღება-ჩაბარების აქტის შედგენა. ვამზადებ. კანონია: მიღების შესახებ სულ ერთია უნდა მოაწეროთ ხელი, თუმცა ცნობილია, რომ ჩამბარებელი არ არსებობს. ლოპატინმა იმანჯვა.

ცაგერიძე მოიღუშა.

— არ მომწონს, ვასილ პეტროვიჩ, როცა მიცვალებულზე ცუდად ლაპარაკობენ. მით უმეტეს, როცა ამას ამბობს მისი მახლობელი, თუ ამხანაგი არა, თანამშრომელი მაინც.

— აბა უყურეთ, — გაბალა ხელები ვასილ პეტროვიჩმა, — ლოპატინზე უფლს არსებითად არც ვიტყვი. არა მაქვს სათქმელი. ხუმრობა არ გესმით?

— დიახ... საინტერესოა, — თქვა ცაგერიძემ. — სწორედ ამ წუთში დაახლოებით ასეთივე კითხვა მივეკი ლიდოჩკას. ეფიქრობ, არა ღირს მე და თქვენ ახლა ვარკვევთ საკითხი, რა არის ხუმრობა. მოდით ვცადოთ სხვაში გარკვევა.

და მან უამბო თავის ლაპარაკზე ქალებთან, რომლებსაც „კოტეეჯიდან“ ასახლებდნენ.

— გესმით, მათ განაცხადეს, რომ ეს მე ვუბრძანე კომენდანტს. მაგრამ მე არავისთვის არ მიმიცია არავითარი ბრძანება. ეს მე გავაკეთე. მე მივაღწიე. ნარჩენები დახურულია [illegible] გამო, ნარჩენები დიდია. ვერ გაბალეს მუშაობის ფრონტი. პირველ ეშაზეზე დაცურება, სწორია — ძირითადი წაობოება. მაგრამ არც იქ გამოვიდა რაღაც, არც აქ. ლოპატინი კი უბედური კაცი იყო. წინათ ზევით ვერ გაუგეს, ადამიანის სულში ვერ ჩაიხედეს, მას კი გულში ჭრილობა ჰქონდა. ყინვა. ხე-ტყე ყინულის ქვეშ ჩარჩა. ინფარქტი. ჩვენს პარტორგსაც ინფარქტი აქვს. ისიც საავადმყოფოში უნდა წავიდეს, გიკითხებით: კვლავ ლოპატინისებურად განვაგრძობთ?

ცაგერიძე უსმენდა ბუხჰალტერს. არ მოეწონა იგი დილითაც, პირველი შეხვედრის დროს. უფრო მეტად არ მოსწონდა ახლა თავისი ცინიკური და ტრაბახა ლაპარაკით, თავისი მკვეთრი, უსიამოვნო ხმით, თავისი წითელი სახითაც კი, მსხვილი, მძიმედ დაკიდებული ქვედა ტუჩით. უნდოდა პირდაპირ ეთქვა მისთვის: „რას მიედევდებით? თქვენ „მთავარი პირი“, ბუხჰალტერი ხართ. ყველაფერისათვის, რაც რეიდზე ცუდია, თქვენც აგებთ პასუხს. უფრო მეტადაც, ვიდრე ლოპატინი, რომელსაც, როგორც ჩანს, ფულის საქმეებში არა გაეგებოდა რა. ნუ იმზადებთ რბილ დასაგებს — სულ ერთია გამოგაცლათ“. მაგრამ მოაგონდა ბაქენოვას მიერ საყვედურით ნთქვამი სიტყვები, ვასილ პეტროვიჩი ძალიან პატიოსანი ადამიანიაო, და ცაგერიძემ თავი შეიკავა.

ვასილ პეტროვიჩი კი იმავე კატეგორიული ხმით უხსნიდა, რომ მისთვის გასაკუთვნილ ბინაზე უარის თქმა სისულელეც არის, სასაცილოც და მავნეც. მაშინ ხელფასზეც უნდა უარი ვთქვათ, პრემიებზეც, ცხენზეც. ამასთან ვასილ პეტროვიჩმა დიდმნიშვნელოვნად დაბედა ცაგერიძის მარცხენა ფეხს.

— თუმცა, რა საჭიროა ყველაფერ ამას რომ გეუბნები! — უცებ შეაწყვეტინა მან თავის თავს. — მე ჩემი სამუშაო მაქვს. ბალანსი. ახლა აღარ მჭირდება უფროსის მაგიერ თავის მტვრევა. შეკითხვები აღარა გაქვს?

ეტყობოდა, რომ მასაც არ მოეწონა ახალ